

ପ୍ରମାଣିତ କାନ୍ତିକାଳୀ



№ 1



ଅମ୍ବାଳେଖିଲେଖାଟାରଙ୍ଗି—ହାନ୍ଦାରାଜୀ।

1910



## მინდარსი

I—შობის ხე ტრანსეალში,—სურათი . . . . .	1
II—საახალწლო სიმღერა,—ლექსი, გაფაფელასი . . . . .	3
III—მფრინავი კაცები,—ეს გაბაშვილის . . . . .	6
IV—საახალწლო სიზმრები,—გაფაფელასი . . . . .	12
V—პხალი წელი,—ლექსი შ. შდევიშვილის . . . . .	16
VI—მომღერალი ყური,—პოლონ გურულის . . . . .	18
VII—ეკატერინე გაბაშვილის, —ა. შიქაბურიძეს . . . . .	32
VIII—შობის დღესასწაული სხვა-და-სხვა ხალხში,—ედ. ან- ტონესტის . . . . .	41
IX—საზღვარ გარედ,—(შოგონებანი და შობებებიდან) არჩ. ვორქაძის . . . . .	49
X—პეტრის დამოტჩილება,—(შ. სოჭივით) ახელებანის . . . . .	54
XI—შირჯორ უარდროპი,—შ. დ—სი . . . . .	59
XII—შითოლოვია—ტრადის ომი,—აქილევის პატიი . . . . .	61
XIII—რებუსი და ალსი . . . . .	65
XIV—შირიანის 1909 წლის „ნაკადულისა“ . . . . .	1

ნავაგუბ  
№ 1 0553540 1913.

№ 1 ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀՊՀ Ա.



ଶେଷଙ୍କ କେ ଫର୍ମାନ୍ତିଗୁ ଲାଗୁ

ପ୍ରକାଶକ

## პირარსი

I.—შობის ხე ტრანსვალში, — სურათი.....	1
II.—საახალწლო სიმღერა, — დექსი, გაფა-ფშავედასი.....	3
III.—მფრინავი კაცები, — ეპ. გაბაშვილისა .....	6
IV.—საახალწლო სიზმრები, — გაფა-ფშავედასი .....	12
V.—ახოლი წელი, — დექსი შ. მდგამედისა .....	16
VI.—მომღერალი ყუთი, — პოდონ გურულისა .....	18
VII.—ეკატირინე გაბაშვილისა, ა. შიქაბერიძესი .....	32
VIII.—შობის დღესასწაული სხვა-და-სხვა ხალხში, — ედ. ან- ტონევსკისა .....	41
IX.—საზღვარ გარედ, — (შოგონებანი და შოაბეჭდილებანი) არჩ. ჭარჭაძისა .....	49
X.—პეტრის დაშორჩილება, — (მ. სომოვათ) აზვდედანისა ..	54
XI.—მირჯორ უარდობისი, — მ. დ — სი .....	59
XII.—მითოლოგია — ტრადის ომი, — აქადეკსის პასუხი ა. შიქაბერიძისა .....	61
XIII.—რებუსი და ალსნა .....	65
XIV.—შინაარსი 1909 წლის წილის წილის წილის წილი .....	1





## საახალწელო სიმღერა

**ა**ხალ წელია და მონც  
 ქარი, ქვითინებს მწარეთა;  
 თან მოსთოვს... კორანტონისგან  
 არ გისვლება გარეთა;  
 ახალ წელია და გვაჭრობს  
 სულდგმულთ სიცივე ძვირებსა.  
 როგორი ახალ წელია,  
 რა ზნე სკირს გასახარელსა?  
 ახალ წელია... კერაზე  
 ცეცხლი /მიქრება, ნელდება:  
 ველარ გვესულვის შეშისთვის,—  
 ჩემი ადგომა ძნელდება.  
 ახალ წელია... ავად ვარ,  
 მუხლები ილარ მომყება.  
 დალოცელ ახალ წლისაგან  
 აროდის ენაზე მოგება:  
 მუდამ ის არი, რაც იყო,  
 დადის კუდალი ცხენითა;  
 ლარიბს და თავმომწონესა  
 უნდა დაუხვდე ძლვენითა!  
 გაშინ კარგია: ქერთობს, კ  
 ტკბილია ტიკტიკებს ენია;  
 თუ არა, ცხეირსა დაუშვებს,  
 მუზლუნებს, არი წყენითა.





"ଗିଲାନପ୍ରାଣ ଅଶାଲ୍ଲିଙ୍କ ଫ୍ରେଲିଙ୍କା!"  
 ଡୁନ୍କିଳା ଠାକୁର ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ରରେ  
 ଯିନ୍ଦୁଲୁହି ଅଶାଲ୍ଲି ଏବଂ ଜ୍ଞାନର,  
 ଜୀବନର ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର...  
 ଅଶାଲ ଫ୍ରେଲିଙ୍କ, ଶାଖାମା  
 ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର-ପାତ ରନ୍ଧର ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର,  
 ମିଥିକ୍ରମିକ୍ଷା ମହିମାକ୍ଷମ,  
 ଦ୍ୱୟାଳୀଙ୍କ ଫ୍ରେଲିଙ୍କ ଅମାଗ୍ର ଅନ୍ତରେ  
 ଅଶାଲ ଫ୍ରେଲିଙ୍କ... ଅଶାଲି...  
 କାଳ ମନ୍ଦିରକ୍ଷେତ୍ରରେ ମିଥିକ୍ଷା?  
 ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର ଏବଂ ପାଦ-ପାଦକାଳିକ  
 ରନ୍ଧରକୁ ଫାର୍ମିଲୁହି ଫ୍ରେଲିଙ୍କିକ୍ଷା?  
 ସିମିତ୍ରିକାଳି ଏଥିନ୍ଦ୍ରମୁଖି  
 ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର-ପାତ ପାଦ-ପାଦକାଳି  
 ଫିନାଲିଶିବାର, ରନ୍ଧର ଅଭିନନ୍ଦିତ  
 ଆଶାକ୍ରମିତି ମନ୍ଦିରିଙ୍କ.  
 ଲମ୍ବରିତି ଶ୍ଵରକାଳି, ଏହି ଦାଵାରଦନ୍ତକାଳେ  
 ଫରନିତା ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରକଟିତ,  
 ଯନ୍ତ୍ରକ୍ଷେତ୍ର ମନ୍ଦିରକ୍ଷେତ୍ରରେ ପାରିବା,  
 ଅଭିନ ତଥା ଏହା ମନ୍ଦିରକ୍ଷେତ୍ରରେ  
 ଅଶାଲ ଫ୍ରେଲିଙ୍କ ଏବଂ, ଅଶାଲି  
 ଘୁରୁଳି ମରାନ୍ତରାଜୀର୍ଣ୍ଣ ମର୍ତ୍ତ୍ରକ୍ଷେତ୍ର,  
 ମାନିକ୍ଷ ପାଦକାଳି: ଅଲ୍ପପ୍ରାପନ୍ତି  
 ଇନ୍ଦ୍ରିୟ ସାମିଶ୍ରମକାଳି ହିନ୍ଦିନିଙ୍କ...  
 ଅଶାଲ ଫ୍ରେଲିଙ୍କ ଏବଂ ମନ୍ଦିରକ  
 ପରିଦିନ ଘୁରୁଳି ମନ୍ଦିରକାଳ:  
 ଇନ୍ଦ୍ରିୟ ପାଦକାଳି ପାଦକାଳି,  
 ଏହା ପାଦକାଳି ପାଦକାଳିମନ୍ଦିରକାଳ:  
 ଅଶାଲ ଫ୍ରେଲିଙ୍କ... ଅଶାଲି...  
 ଯାଇବି ଏବଂ ଯାଇବି ମନ୍ଦିରିଙ୍କ.  
 ପାଶେ ପାଶେ କାଳି ପାଦକାଳି,  
 ହିନ୍ଦିନିଙ୍କମୁଖ ମରାନ୍ତରାଜୀର୍ଣ୍ଣ,




თავს დამფრენს ტკბილი ოცნება,—  
ტანჯულის კაცის წამალი.  
წამოიშოლნენ ბალლები,  
გაღიგდებინეს საბანი;  
ტკბილეულობას დაეცნენ,  
ვის აგონლება ანბანი?..  
გმირებიმც დაიზრდებიან —  
ხარობდეს ქართველთ მთა-ბარი!  
ცამდე აზიდულთ გრძნობითა,  
გული ჩაედფასთ მაგარი!  
შეკვლეს მოველით ხმა-ტკბილსა,  
რად იგვეანებს, სად არი?!

ვაჟა-ფშაველა





## მფრინავი კაცები



ობის დღესასწაულები იყო. მორთულ-მოკაზ-მული ხალხი მხიარულად დასეირნობდა ქალაქის პულვარებზედ. მოსეირნეთა შორის ბავშვების პირველი ალაგი ეჭირათ. გიმნაზიო-ლები, კადეტები, სემინარიელები, კომერსანტები და მრავალი სხვა და სხვა სასწავლებლის მოსწავლე ქალ-ვაჟნი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, იცინდნენ, ლაპარაკობდნენ, ოხუნჯობდნენ. სულ პატარა, სამი-ოთხის წლის ბალდებიც კი ჩიტუნიებივით ხტუნვა-ხტუნვით მისდევდნენ დედ-მამას და თან მხიარულად კიკეიკებდნენ.

ქუჩებიც, დუქან-ბაზარიც სადღესასწაულოდ იყო მორთული. შიდაზიების ფანჯრები ალუვავებული იყო თასის ფერის სავაჭროებით, სათამაშოებით. კედლები აჭრელებული იყო სხვა და სხვა ფერის აფიშებით. „როგორი“, თეატრი, ცირკი და სხვა თასი სამხიარულო და გასაჩთობი იწვევდა ხალხს სალხინოდ და საბეღლიეროდ.

ხალხიც კითხულობდა ამ აფიშებს და, სადაც უფრო გული მიუწევდა, იქ ყიდულობდა ბილეთებს.

— დედა, ნახე ჩა მშვენიერი რამეებია დღეს ცირკში წარმოსადგენად! უთხრა პატარა ნადიკომ დედას. „მფრინავი კაცებიც“ კი იქნებიან! უყურე, უყურე, როგორ უნდა გა-



დაფრინდეს ერთი მეორესთან; მეორემ როგორ უნდა დაგრძელოს და მერე უთუოდ ერთად უნდა იფრინონ.

— ცირკში?! თითქო კითხვით და თითქო რაღაც სხვა პოსაზრებით უპასუხა დედამ ნადოს.

— ცირკი არ მიყვარს, შვილო, იქ ბავშვებს თამაშებენ და ყოველთვის შიშით გული მელევა ხოლმე, რომ არაფერი მოიტეხონ მეთქი.

— დღეს ბავშვები არა თამაშობენ, დედაჯან, იი, წაიკითხე აფეშა, სულ დიდები, დიდი არტისტები არიან ჩაწერილი.— წამიყვანე, გენაცვალე, საშინლად მინდა მფრინავ ადამიანების ნახვა. უფრთხოდ ფრინვა იქნება განამი არც შენ გინახავს, ნიკო, მფრინავი კაცები? ახლა თვის უფროს ძმას, კადეტის კორპუსის მეორე კლასის შეგირდს, შეეკითხა ჰატარა ნიდიკო.

— მფრინავი კაცი! რა შეიღია! მხრების აწევით მიუგო მომავალმა მხედარმა თავის დას.— აბა, დაინახე ეს სურათი: ოთხ ცხენზე სდგას ერთი ქალი და ისე მიაკენებს, ისე მიაკენებს, თითქო ილქაჯიათ.— მე რო თხო ცხენი მომცა, უთუოდ გამოვყდიდი. იი, ფრენა ეს არის! ტრაპეციაზე ხტუნობა დიდი რამ არის! ჩვენ კორპუსში კი არა ფრინავენ ერთ ტრაპეციიდან მეორეზედ.

— მაში, შენც გინდა ცირკში წასვლა? — შეეკითხა დედა ნიკოს, რომელიც თვალებ-გაბრწყინვებული ებაასებოდა ნადიკოს.

ტრალა-ლა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა! მოისმა უცებ ცირკიდან მუსიკის ხმა და დედა-შეიღოთა ბაასი შესწყვიტა.

— ახლა რეპეტიცია! — დიდის რიხით წამოიძახა კადეტმა.— ეს ცხენების საკენებელი გალოპია... ნეტა შემახედა... რო რიგად მინდა დავინახო ლამაზი, დაგეშილი ცხენები!

— წავიდეთ, დედა, წავიდეთ!

— წავიდეთ, დედა, ბილეთები იყილოთ, გენაცვალე! — მელავშე ჩიმოეკიდა ნადიკოც დედას და დედამიც უარი ველია უთხრა.



ცხრის ნახევარზე ნადიკო და ნიკო პაგრა ხელმძღვანელი მიერ ბულები შეტყუავდა დედას ცირკის კარებში. ბავშვები ისე მიერ ჩერებოდნენ, რომ ძლიერ იმაგრებდა ხელში.

აი, უშესებელი, რგვალი, მაღალი, რამდენსამე წყი-  
ბად დაყოფილი საჯდომებით ცირკი იიგხო. მუსიკამ გრიალი  
დაიწყო. ჟველა გაფაციცებით იქცერდა თავის ალიგს და აფი-  
შხს შინჯველი იშის შესატყობიდ, თუ პირველი ვინ დაიწყებდა  
თამაშობას.

— მფრინავი კაცები ხომ არ გამოვლენ პირველად? — ეკი-  
თხებოდა ნადიკო დედას.

— მფრინავი კაცები, მფრინავი კაცები! გაიჭირე საქმე  
შენი მფრინავი კაცებით! — შეუტია კაცეტმა თავის დას. — ჯერ  
ბევრი რამ იქნება მფრინავ კაცებამდე. „ავგუსტა უბელო ცხენს  
აქენებს, „ივანუშე დურაჩიკვი“ თავის ლორს რკალში გააძ-  
რენს, გიმნასტები, ხუთ ეტაჟიან პირამიდას გააკეთებდენ და  
უკანასკნელი თავს მდგომი შინჯველი ხელით პატარა ლორს  
შიღლია ასერის და დაიწერს“. უკითხევდა იფიშეს მეოთედ ნი-  
კო ნადიკოს. გაიგე ახლა, რომ შენი მფრინავი კაცები უკი-  
ლაშე ბოლოს იქნებიან?

— ჰო? კარგი, მოვიცდი. ოთხ ცხენზე ჯირითი როლის-  
ლა იქნება?

— უფრო ადრე, მანამ შენი მფრინავი კაცები. — გამოა-  
ჯავრა კიდევ კაცეტში.

— სუთ! სუთ! აი, რა მშვენიერი ცხენია, რა კეკლუცია  
უჭირავს თავი. იღვირიც იღსნეს, არც შეკმაზულია, არენის  
ლობეზე რომ გადმოხტეს! — ეუბნებოდა დედა შვილებს და  
ხელებს ხეევდა, თითქო წინდაწინვე იცავდა ცხენის გადმოხ-  
ტომისაგან.

მუსიკამ მშვენიერი ვალის დაუკრა. უბელო და შეუკმა-  
ზევი ცხენი შეუარენაზე გამოვიდა, აქეთ იქით თავი დაუკრა  
საზოგადოებას და კეკლუცად მოჰყვი ტრიალს. რამდენჯერმე  
შემოუარო სათამაშო მოედანს და შერე კვლავ დაუკრა თავი  
საზოგადოებას და გასწია გასავლისაკენ.



ჟურნალის აღტაცებით უკრაინენო ტაშს გონიერსაფაურიათა  
ციით სიესე პირუტყვს.

— ნეტა თუ როგორ ასწავლიან ცხენს ტანცობას? გა-  
ბრწყანვალებულის თვალებით ეყითხებოდა ნადიკო დედას.

— ძალა აღმართსა ხნიესო, ზელო, ნათქვამია. თასჯერ  
გამომეორებინებენ ერთსა და იმივეს და პირუტყვიც გონების  
პატრონია, ზეგნებს და გამომეორებს. შეტატრე მაშინ, როდესაც  
ვარჯიშობის დროს შოლტით უტრიალებენ და წამ-და-უწიუ  
გაუწეაპუნებენ ლამაზ ფეხებში.

— ცემით ასწავლიან? საწყალი! მე კი მეგონი, თითო-  
ნაც უხარიან-მეთქი...

— მთი მოა იხახა! ამ სიტყვებით შესწყვიტა კლოუნმა  
ნადიკოს სიბრალული მროკველ ცხენისაღმი.

ახლა ძალლმა დაიწყო თამაშობა. მერე ვითომ სიმღერაც  
მორთო, როდესაც პატრონმა სკრიპკაზე რაღაც ხმა შეუწყო.  
მერე ცეცხლმოკიდებულ რკლებში გაძვრა. მერე ყიჩამალა  
გადავიდა და სხვ. ძალლს მოჰყვა ლორის ვარჯიშობა. მერე  
გიმნასტებმა გამოიჩინეს თავიანთი სიმკვირცხლე, სიმარჯვე და  
ლონივრობა. მერე ოთხ ცხენზედაც შევენიერად იჯირით  
ბლონდებში გახვეულმა ლამაზმა კალმა.

ოთხი დიდი გასუქებული შევი ცხენი ისე მწყობრად და  
ფეხის შერჩევით მიჭროლავდნენ, რომ თუ მათგანზე მდგო-  
მი ქალი ირც კი ინძრეოდა. მხოლოდ ხანდისხან იღებდა მაღ-  
ლა ხან ერთ ფეხს და ხან მეორეს. ახლა კადეტი იყო აღტა-  
ცებული და შენატროდა მხედარ ქალს. —ოჲ, როცა ცხენები  
შეყოლება, უთუოდ ვცდი ოთხის ცხენის ერთად კენებას! საქმე  
ოთხია ერთად, თორემ ერთ ცხენზე ჯდომა რა დიდი აშბა-  
ვია! — ყველაფერი ისე მოსწონდა ნადიკოს, ისე გაერთო სუსვი-  
ლაფრის ცქრით, რომ, როცა მფრინავი კაცები გამოვიდნენ,  
დაღალულიც კი იყო უკვე და ძლიერ იღირ გამხარებია.

მფრინავი კაცები კი მართლა რომ დიდად სინტერესო-  
ნი იყვნენ. სამი ვარკაცი, ზორბა, შშენიერად ჩასხმული, მშეკრ-



ნიერნი თვალიდ და ტანად, სწორედ მარმარილოს ჰერცლიშვილების ბას ჰევანდენ. სამივეს თეთრი ტრიკუები ეცვათ, თეთრი ბაშმაკები და ხორცი ისე თეთრი და მცვრივი ჰქონდათ, რომ თეთრ ტრიკუდან არ იჩინდა.

მოკლე დაზუკუ-  
კებული თმა, ოდნავ  
ამწვანებული ულფა-  
შები, გაბრწყინვალე-  
ბული მოცინარითვა-  
ლები სწორედ სასია-  
მოვნოდ ჰხდიდნ ენ  
ამ სამს ერთმანეთის  
მგზავრის გოლიასი.

ხელი-ხელ გადა-  
კიდებულებმა ხალხს  
თავი დაუკრეს, მერე  
ერთმანეთს განშორ-  
დნენ და მოხდენით,  
მარდად წავლეს ხე-  
ლი მაღლა ცირკის  
სახურავიდან ჩამო-

შვებულ თოკებს და გასოფურის სისწრაფით აკოცდნენ თით-  
ქმის სახურავ ქვეშ.

მერე თოკებს ხელი გაუშვეს და იქა-იქ ჩამოკიდებულ  
ტრაპეციებზე წამოსუპლენენ. ახლა იქიდან დაუკრეს თავი  
საზოგადოების და შემდეგ დაიწყო საშინელი თავბრუს დამ-  
ხვევი ვარჯიშობი. ერთი გაუშვებდა ხელს თავის ტრაპეციის,  
გაექანებოდა ჰაერში და მეორე დაიჭრდა მის ცალის ხელით  
და მესამესთან გადაისურიდა, როგორც ბურთს, როგორც  
ერთ ბეჭვა რასმე სათამაშოს. ახლა მესამე დაიჭრდა და კულავ  
ჰინდველის ბინაზე გადააგდებდა. იქ ხელების მავიკრად ეს გა-





სროლილი ჩამოყიდვებოდა ფეხებით და შუაში მჯდომარეობა  
დაფრინდებოდა მასთან, წიავლებდა ფეხებში ხელებს და ისე  
ჰერში დაკიდებული ქანობდნენ რამდენსამე ხანს, შემდეგ  
კიდევ გაუშვებდა ხელს ხელებით დაკიდებული და გასრიალ-  
დებოდა მესამესთან, რომელიც იძლა თავდაყირი დაკიდებუ-  
ლი წიავლებდა ხელებს ფეხებში და ფეხებით აქანავებდა თვით  
ფეხებით დაკიდებული ტრაპეციაზე. სასიამოენო სანახავი იყო  
ეს გასაოცარი ვარჯიშობა და თან საჩიშო და სახიფათო.  
ხალხი თან სტებებოდა აუამიანთა სიმამაცით და თან შიშით  
ცახცახებდა, რომ ამ სიმამაცეს მსხვერპლი არ მოჰყოლოდა.  
მუსიკა ნელ-ნელა უკრავდა. ხალხი სულ-განაბული ცქერად  
იყო გადაქცეული და მოუთმენლად მოელოდა ამ სახიფათო  
თამაშობის გათვევებას.

ნიდიკა დედას მიეკრა, მიეცქავა და იქ დედას აჩქარე-  
ბულ გულისცემასთან ერთად გაირინდა. ერთი კიდევ გაძქან-  
და ტრაპეცია, ერთი კიდევ გადააგდე-გადმოაგდეს ერთმანე-  
თი სათამაშო ბურთივით და მოისმა აღტაცებული ხალხის ტა-  
შის კერა, მიგრამ უცებ რაღაც მოხდა, ერთი მფრინავთაგანი  
ჩამოსასვლელ თოქს ასცდა და ძირს გაბმულ ბადეზე ყირამა-  
ლა დაეცა.

რაღამაც საშინელი ჩახანი მოიღო. ამის კაცის გმინვა  
მოჰყვა... მუსიკა შესწყდა... საზოგადოებას გულისცემა შე-  
უქრდა... სამარისებური მდუმარება ჩამოვარდა. არაენ იცო-  
დი, რა მოხდა, მიგრამ უცელა კი გრძნობდა, რომ რაღაც სა-  
შინელი ამბავია. ისე დაღუმებული იყო ერთის წიმით მთელი  
ცირკი. შემდეგ წამს კუვლანი იშალნენ და დამჭრითხალ შე-  
ცემივით კარებს მიაშურეს.

— დედაჯან, დედაჯან, — კბილების ძაგძიგით ეხვეოდა  
ნიდიკა დედას, თავის დღეში ცირკში აღარ წავილ... აღარ  
წავილ...

— აღარც მე... აღარც მე! — დაზე არა ნაკლებ მორთოლ-  
ვარე ხმით ჩურჩულებდა ვატარა კადეტი და დედას ხელ-  
ზე უკერდა.

ეკ. გაბაშვილი



## საახალწერო სიზმინები:



ანომ გრძნობიერი წერილი მისწერა დედ-მამას; უსტარი დაწერილი იყო თუმც დახახულ რველ-ლის ნახევზე ასო მთიერულად, მიგრამ ლაშაზი ხელით იყო ნაწერი. ასე იწყებოდა: „სიყვარე-ლო დედავ და მიმივ! პირველიდ მრავალს მოკი-თხეს მოგახსენებთ (დასაწყისი სახლის პატრონმა უკარნახა) და გთხოვ ყოვლად შეჩძლებელს ღმერთს იკოაქ-ლოთ ბედნიერად თავის შეილებით და ყველა ნათესავებითურთ. უკეთუ ჩემს ამბავს იკითხავთ მეც, მაღლობა ღმერთს, კარგადა ვარ და კარგადაც ვეწივლობ: მოწმობაში სულ „პიტები“ და „ჩეტირეები“ მყავს. ეს არის რომ წალები გამიცვდა; ქუდი და ბლუზაც აღარ მივარგა. სახლის პატრონიც ერთ თუმინ-სა მოხხეს. საშობაოდ ძალიან მინდა სახლში წამოსცლა, გთხოვთ ცხენი გამომიგზავნოთ და საჭირო ფული. გიკო-ცებთ უველის, გოგრას (ძმას) დიღრონ ბრტყელ შებლში, მომიკითხეთ ჩვენებიანი უველიანი: ნენე, თამარი, სოფი,



ბერუა, ნინია და სხვა... ეინძლო კაცი პიტტუჭმება  
გზანოთ.

თქვენი შვილი ვანო ფეტვია შვილი".

წერილი სანდო კაცის გაიტანა, მაგრამ იგერ ერთი კვირი  
გავიდა და არავითარი პისუხი არ მოუყიდა. ვანოს დარღი  
შემოაწვა გულზე. თუ ასე გოუცრუედებოდა იმედი, რომ  
სცოდნოდა, ხომ დაპკრავდა უქსის და წავიდოდა ქვეითად, ან  
მეურმეებს გაპკვებადა. ხვალ უკვე ახალი წელია, ვისდა შე-  
ჰქვდება თავის სოფლელს? არავის. სწუხს ვანო; თვალწინ  
უდგია თავისი სახლი, თავის მშობელი დედა, პატარა ძმა,  
რომელიც ძალიან უყვარს, ძროხა-ოჯახა, ცხენი—ნიშა, ტა-  
ხი—ნისლა, ძალი—აფთარა და, წარმოიღვინეთ, მამალიც-  
კი. ა-კი რა დავვიწყებდა ვანოს მამალს. როცა იგი დახა-  
კუთხებული ჰყავდა და სახელიდ „პომპოლიკი“ დარქვა.  
წარმოუდგა თვალწინ თავისი საბძელ-კალო, ბოსელი, სი-  
დანაც საქონლის ბრავილი ისმის.

თვალწინ უდგია მოწანწერე წყარო. ნეტავ იმის წყილი  
ერთხელ კიდევ დაალეინა, მინდვრები, გორაკები. დედის ალე-  
სი, ტკბილი ალექსი... იმას რა შედრება... „კამე, შვილო,  
კამე, გენაცვალე, რა გინდა გაგიკეთო“? უწივის ყურებში  
ვანოს ხმა დედისა. ვანოს მარტო დედის სიტყვები იძობს,  
არაფერიც არ უნდა, მხოლოდ დედისთან იყოს, ესმოდეს  
მისი ტკბილი ხმა და ნიხოს თავის ტოლ-მხანაგები. მაგრამ  
წავიდა შობა, მოაღწია ახალშა წელშა, ხვალ ახალი წელია,  
მაგრამ შინიდან პისუხი არაფერი მოუყიდა.

## II

ლამდება. ვანოს სახლის პატრონი, ქვრივი დედაკეცი,  
სალომე, ფუსფუსებს: ისიც ელოდება ახალწელს. თან ბუ-  
ლუნებს, რომ ვანომ შესახისი ფული არ მისცა, რომ ლირ-  
სეულად დაპხვედროდა მომავალს დღესასწაულს. „სოფლელებს  
ჰვონით, ჩუქ ქალაქელებსაც ისე მზა - მზარეულად მოგვ-  
დიოდეს ცველმუქრი, როგორც იმათ მისდის. დალოცვილე-



ბმა ას იციან, როცა პნევმატიკა, ქათამს დაჰკლიენენ, როცელმომატება  
წალინებენ,—ბატს, ინდუსტრის; ჩვენ-კი საწყლებში უნდა ყველა-  
ფერი ვიყიდოთ, ყველაფერი ჰაერის გარდა. ეს სახლის ქირა-  
ვარო, ეს ნახშირიო, ეს შეშო... ეს, მანამ საწყალი ჩემი  
კირილე მყვანდა ცოცხალი, რა მიჭირდა, კვირაში თითო კა-  
ბას ეცვლიდი; რა გინდა, სულო და გულო! ოლონდ ერთი  
წამომცდენოდა სიტყვა პირიდან და მაშინათვე მხად იყო  
ყველაფერი..

ომ, რადა ლირს, სოფელში რომ ბუხარს გაიხურებენ, გააქვს გიზგიში ცეცხლსა, ღმერთშინი შეში არ დაიკლდეთ... პური მხად ვარულში, ღვინო—ქვერში. როცა პნევათ, დროებას ატარებენ<sup>4</sup> ამბობდა სალომე წუწუნით. სალომეს გოდებამ გაუმრავლა და გოუახლა ვანოს დარღები: იჯდა საწყალი გულ-ხელ და ყრეფილი, თავ-დაქინდრული. მოაგონ-და თავისი სახლი, გაჩაღებული ბუხარი; ვინ იყის, რა მხა-დებაში არის მისი დედა?!. სალომემ მაინც გაბედა და ერთი-ორი გირვანქა ხორცი იყიდა, ცოტაოდენი თაფლი და ნი- გოზი და ერთი თეფში გოზინაყი გააკეთა; ცოტაოდენი კან- ფეტი და ხმელი ხილიც, ერთმანეთში აურია და გააშალა საახალწლოდ. ჩადგა პატარა ქვაბით ღორის ხორციც თუნუ- ქის ფეჩე. დატრიალდა ოჯახში სინოყივრის სუნი. ღორის ხორცი, სუნით სტებებოდნენ ვანო და სალომე, ფეჩითან მი- მსხდოები ერთი იქით მხრიდან, ხოლო მეორე აქეთ მხრიდან. ხანდახან, როცა ქვაბის საჩქეველს ორთქლი შეათაბაშებდა, ოშეივარი პირდაპირ ცხვირში ეცემოდათ. სალომემ საჩქეველს გამოსწიო, რომ ორთქლს თავისუფლად ემუშავნა და თან მო- ჰყვა წუწუნს.

ვანო ისე დაწეა ლოგინში, მთელ იშ სალამოს ხმა არ  
ამოუღია, ხოლო, როცა მიწეა და საბანი წითელრა, ლრმად  
მაშინ ამოიოხრა; თვალებზე ცრემლი ადგებოდა, სუნთქვა  
უძნელდებოდა, ერთს გვერდზე კერ ისცენებდა, მალე მეორე  
გვერდზე ბრუნდებოდა; ცდილობდა მოეშორებონა თავიდან



შემაწუხებელი ოცნება, პგრძნობდა, რომ ოცნებიდან ჰას-ფერი გამოვიდოდა, მაგრამ ის წყეული ფიქრი როდი ჰშორ-დებოდა, ხარჯის საფრენებად მოსულ გზირივით მიეყუდებოდა გონების კარებზე, აფორიაქებდა, იღონებდა.


ამ ყოფაში ჩემინა კიდევაც. ჩემინა და ძალიან კარგი სიზმარიცა ნახა. იმათი წალმით დახურული სახლი, ანუ უკიდ რომ ვსოდეთ, ქახი, გადიდებულიყო. გადიდებაც ირის და გადიდებაც: სრულად გამოცვლილყო; იღია გახლდათ ფიტრული, არამედ ქვიტურისა, ორ-სართულიანი, თუნუქით დახურული, ისეთი, რომლის მსგავსს მხოლოდ ქოლაქში თუ შექვედებით. მისი მაშა ეფრემი დიაკვინი აღიარ გახლავთ, ის დაგლეჯილი ჩოხით და დაბანდულ ჩუსტებით მოსიარულე, მეოთხედზე მცხოვრებელი, არამედ კურთხებული მღვდლიდ, ანაფორის აფრიალებს. გულზე ძეწყვით ჯვარი ჰყიდია. იმათ სახლში მოუყრიო თავი აუარებელ ხალხს. კინც მოვა იძების: „დილა მშეცდობისა, შენდობა, მიმო, მოვეილოუნია ახალი წელი, დაესწიარით მრავალს, თავის მეუღლით, შეილებით“! თამაგა სადლეგრძელოებს ამბობს: „ეხლა რაღა ვსოდეთ, კა-ცებო, რა და ისა, რომა ღმერთმა იდლეგდელოს, მიმო, თკვენი შეილი, ვანო, სკოლაში რომ სწავლობს, იმის მღვდლობასაც შეგვასწროს“!

— ამინ, ამინ! ღმერთმა იდლეგრძელოს, გაზარდოს, კა-კაცი გამოიყვანოს. აბა, მრავალ ემზირ. — ისმის ხმა აექთ-იქიდან... მღერიან: „ჲა და მრავალ ემზიე, მრავალ ემზიე!“ მღე-რიან თავისებურად, გლეხურად. სადარბაზო როახი გაჩირალ-დნებულია.

ვანოს დედაც რლებს ჰიქს, ღაწვებზე ცრემლი ჩამოს-დის და თან ამბობს სადლეგრძელოს. „იცოცხლოს ჩემი ვანო!“. უნდა ბეჭრი ამ სთქვას, მაგრამ ცრემლი არწიბს, სიტყვები ველარ გამოუთქვამს... მხოლოდ ბოლოს ეს წარმოსთქვა: „ეხლა განა აქ არუნდა იყოს“?

— აქა ვარ.. დედი... ააქა... აქა ვარ. — წამოიძიხა ვანომ ისე ხმა-მძღლა, რომ თავისმავე ძხილმა გამოაღვიდა ისიც და მოხუცი სალომეე, რომელმაც მეორე ტახტიდან გადმოიხდია: „რა არი, ბიქო, რა დაგემართო“?

ვაჟა-ფშაველა



## ახალი შეღი



ავხედე აღმოსაფლეთს—  
ცისკარი ამოლიოდა,  
მოკრთოდა, მოციმციმებდა,  
ნაკვერჩხალივით ლვიოდა.

ცა პირს იხსნიდა აღმოსფრად,  
მოფარე შორს გადადიოდა;  
მოსეირნობდა მზის თვილი,—  
სიბნელეს სული სცვიოდა.

დაბლა, ხმელეთზე მოხუცი  
კვნელოდა, მწარედ ჩიოდა,  
ნანობდა სიօ-კაცეს  
და ცრემლი გაღმოსდიოდა

უკანასკნელად ფეოჭავდა,  
იპარებოდა, კვდებოდა  
და მის ადგილას ჯან-ლონით  
საესე ყმაწვილი ფეხბოდა.

ხედივდა ახალგაზღვას—  
პირს ვარდი ეფურჩქნებოდა;  
ნუ დამიწყევლი გზასთ,  
მოხუცი ეხვეწებოდა.

რაც მიმდევს წყევლა და კრულვა,  
ბრალია წუთი-სოფლისა;  
შენ ნულარ იზამ სიօვეს,  
თუ გიყვარს ძუძუ მშობლისი.

უთხრა და მოხუცმა წელმა  
სიმწარით სული დალია,  
სხვას დააბრალა, რაც მოხდა,—  
ვით სიწუთროს ბრალია!!!.

გვეხედე აღმოსავლეთსა—  
ცა წითლად ილიშებოდა,  
ძეელს ისტუმრებდა ქვეყანა,  
ახალ წელს ეგებებოდა.

შ. მღვიმელი





## მოგლერალი ცუთი

(უძლივი პატარა შრატვას შედევრი ქიქოძეს)

### I

ენა, "ნენა, ჩემი ძუძუაი, მითხარი კიდევ რამდენი დღე შობამდი?

— დღეს რა დღეია, შეილო?

— დღეს ოთხშაბათია, ნენა!

— ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი. ამ შაბათის სწორი შობაა, შეილო; ნეტაი მას, შეილო, ვისაც აფერი აკლია და მშვიდობით გუუთენ-





დება, ჩვენ კი რას გვიხარია, რა გვაქ სასიხარულოს მარტვილება  
მარჩენალი, ჩვენი პირში სულის ჩამდგმელი, უბედური მამა-  
შენი ციმბირში, შვილო, გადასახლებული, ყოველის შეძი-  
ლე ღმერთი არ გაახარებს ჩემს არ გამხარებელს, ღვთის მშო-  
ბელი დედა არ გაუთენებს არც შობას და არც კალანდას,  
ვინც მე და ჩემს თავ-მონაწილ ბალნებს არც ერთი არ გა-  
გვითენა.

— სუ, ნენა, წყველა დედაბრის საქმეა. არ გცხვენია,  
სულ იმას გვარიგებ, არ დეიწყველოთ, გლოხა არეკაციზა  
თქვათო და შენ ქე იწყველები?

— მეც არ მინდა, ჩემო სიცოცხლევ, დევოწყველო და  
ღმერთს შევცოდო, მარა გული, აგი ძალის არჩივი და აღრე  
მიწი დასაყრელი გული, არ მიჯერა. ღმერთო, ღმერთო, შე-  
ნი სახელის ჭირიმე, ნუ მიკალონებ და. თუ ლიხისი არ იყოს,  
ჩემი წყველი ლოცვათ მიგვარე. ისე, ღმერთო ძრიელო, ამას  
გრვედრები, შობის მაგიერ, შევი ცველიერი გაუთენე იმას,  
ვინც მე ჩემს ქმის, ჩემი ბალნების მარჩენალს, მომაშორა  
და ქალობაში გამომწყვიტა; სახარ ახლა, ჩემო ნიკო, ჩემო  
ცხოვრებავ, რაფერ სიცოცხლით მომიკლეს შენი თავი, უშე-  
ნობით აქეთ მე ვარ ვამწირებულ-გაძალლებული და იქით შენ.  
მე მაინც ჩემს ქვეყანაში ვარ, ჩემი დასაფეხბი თვალებით ჩემს  
შშიერ. ტატველ ბალნებს მაინც უმზერ, შენ კი, ჩემო ცხოვ-  
რებავ, ჩვენი ქვეყნის მშესაც ვერ ხედავ! ვაი ჩემს დღეს, ვი  
ჩემს მოსწრებას!

— არ გცხვენია, ნენა, მაგიზა, გაჩუმდი თვარა მეც ვი-  
ტირებ, იცოდე! გაჩუმდი, შენი ჭირიმე, პაწე ბალნები არ  
შემოგვესწრას.

— კი, შვილო, კი, ნენა, გვეჩუმდები; ცოდვაა, ცო-  
ცხალი ადამიანი ვიტირო. იქნება ქე ქნას ღმერთში სასწაული  
და გვიჩვენოს ცოცხალი უბედური მამაშენი!

ასეთი ამბავი იყო ერთ ქრისტეშობისთვის წვიმიან-ქარიან  
დღეს გურიის ერთ მომწვარეთის ქოჩში. ეს ქოხი (ანუ ფაცხა)



მეტის-მეტად ღარიბულად იყო მოწყობილი. კვეუჩებულების ეტყობოდა, რომ დროებით, სახელდახელოდ იყო გაკეთებული და ხიზანს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მცვიდრ პოსახლეს. მისი ოთხი კედელი თხმელის წნელისაგან იყო დაწნულა და, რომ შიგ მყოფნი სიციელსგან დაფარულნი ყოფილიყვნენ, სიმინდის ჩალით შემოებულნათ. ამ ქახის მნახველი ადვილად მიხედებოდა, რომ წინად სასიმინდე (ნალია) ყოფილა და მის პატრიონს შემდეგ ქვეშ დროებითი თავ-შესაფარი გაეკეთებინა.

ქოხის პატრიონი ნიკ. მიმედიარაძე წინად არც ისე ღარიბი იყო. გამ. რა მოუვიდა? რომ გააპარტადა ერთ დროს საშუალო შეძლების ოჯახი? ზოგიერთ მას იცყია მეზობლი-სთვის რომ გეკითხა, ისე გეტუოდნენ:

— ახიდ მაზე, რაც დიდმართა! ჩეიზა არ იცოდა, კიაყელა  
ლა რომ გველს ეჭმანებოდა, რომ გაწყდებოდა; იგი რავა  
ვერ მიხთა იმ ხელი კაცმა, რომ იგი ქვეყანის ვერ გადამრუ-  
ნებდა. რავაც ხელის თითები არ გასწორდება, ისე უნცროს-  
უფროსობა არ მეტსპობა — დაწესის და გადასხელების ღირსი კი  
არა, ვარესს ემართლებოდნენ, მარა კიდევ მისი სული ლო-  
ცოს, ვინცხამ სიცოცხლე აჩუქა... .

ზოგს კიდევ ძრიელ ეცოდებოდა ვაციმბირებული ნიკა  
და მის სახელსაც პატივისცემით და თანაგრძნობით იყონებ-  
დნენ: ასე იტყოდნენ, როცა საიმედო მეზობლები ერთიდ  
დარჩებოდნენ — ჩვენ რომ ყველი მასავით შეგნებული და  
ნამუსიანი ცყოფილიყვით, ჩვენი საქმე წალმა იქნებოდა, ჩვე-  
ნი ნაშრომი ჩვენვე შეგვრჩებოდა, მაგ ფერი კაცის გულიზა  
ლმერთმა მომკლას...

რასაკუირველია ასეთი თანაგრძნობით მომვონე ნიკას ბევრად ნაკლები ჰყავდა, ვიღრე მაძაგებელი, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, უნიკოთ დაცემულ მის ოჯახს ნივთიერ-სულიერ თანაგრძნობას მაინც ეს მისი ნაამშანაგრძები უწევდნენ. ზოგს მათგანს კიდეც ეშინოდა აშკარად მიხმარებოდა ყანაში



სხვა რამ საოჯახო საქმის გაკეთებაში ნიკოს ცოლას ცოლას მიმართ ეშინოდათ, ვით თუ იყვით მეზობლებმა შარი რამ მოგვდვან და ჩვენც ხითაბაღაში გაგვხვიონთ. ამისთვის ჩუმად იძლევ-დნენ შემწეობას ობლივი დარჩენილ ნიკოს ოჯახს, ზოგი ფუ-ლით და ზოგიც სურსათით. ყოფილი ისეთი შემთხვევა, რომ დიღილით მართას ეჭოში ღამე ჩუმად მოტანილი შეშა უნახავს, ან ქოხის წინ ტომრით სავსე სიმინდი. თუ ვისმა მადლიანშა მარჯვენამ გაიკითხა მართას უმწეო ოჯახი, ეს მართასთვის ახლაც სიიდუმლო. ყოველივე ეს ისედაც მხნე მართას სუ-ლერად უფრო იმხნევებდა. სხვათაშორის, ანუგეშებდა ისიც, რომ მისი საყვარელი იმხანები ნიკო დასჯილი იყო არა ქურ-დობა-ავკაცობისათვის.

მართამ მტკიცედ გადასწყვიტა დამწვარი ოჯახი არ გაე-  
ციცებინა და შვილებისთვისაც შეძლებისადაგვარია სწავლა  
მიეცა. დღე-და-ღამ მხნეობდა, წელებზე ფეხს იღვამდა ეს  
ოდესმე ქმრისაგან განებირებული დედაკაცი. ახლა მისი-  
კაცის საქმესაც არ თავილობდა. უფროსი ქილ-ვაჟი სოფლის  
სკოლიში მიაბარა და, მისდა სასიხარულოდ, ორივე კირგად  
სწავლობდა. უფროსმა ვაჟმა კირლომ სკოლიში ორის თვის  
ყოფნის შემდეგ საყვარელ მამის საკუთარი ხელით დაწერი-  
ლი მოკითხვის პარათიც-კი გაუგზავნა და მით შორეულ  
ციც-ქვეყანაში მამის შობლიური გული გაუთბო და ანუგეშა.

კარლო ძლიერ ბეჯითი და მუყიოთი ბავშვი იყო. თუმცა  
ახლა ცხრა წლის შეტისა არ იყო, მაგრამ დედას ბევრ რამის  
გაკეთებაში შველოდა; მართალია, მამის მოშორება იმასაც  
ძლიერ აღონებდა, მაგრამ თავის დარცს დედას და თავის პატარა  
დასა და ძმებს არ უმხელდა, ყოველთვის მხიარულის სახით  
ეჩვენებოდა და ცრემლს უმაღადა. სულ იმის ცდაში იყო,  
თვით მოეკლო უველავერი, ოლონდ კი პატარებს არაფერი  
მოჰკლებოდა. ყაირათობასაც ეწეოდა. მოვიდოდა თუ არა  
სკოლიდან, ფეხთ გაიხდიდა, ტანთ გამოიცვლიდა და, საღილის  
ამის შემდეგ, რაიმე საოჯახო საქმეს მოჰკიდებდა ხელს; რო-



ပုံ ၁၁၂ အလောက်အတွင်း၊ အနောက် ဂုဏ်သွေ့ကြော်များ ရှိချင်လိုက်နိုင်ပါ။

— პატარია მარი სწორედ ცეცხლის ნიხავ, თუ მაგან  
არ წამოიყენოს წიკცელი იჯახი! — იტყოდნენ კარლოს შე-  
ძყურებ მეზობლები.

შემთ აღნიშნულ დღესაც კარლო სკოლიდან თავისი დაბრუნებული იყო. იჯდა „ჯორჟოზე“ იმედის შეშის ცეცხლა პირს და სველ ტანისამოს იშრობდა, თან დედას ქსაუბრებოდა:

— ნენა, მე რომელ გევიზრდები, ვეცდები მეც ბაბაის (მამის) ფერი კაცი დავრჩე, მეც მინდა მისავით პატიოსანი კაცი გამევიდე, ქვეყანას რაცხა წიგელგე.

— სუ, შეიძლო, რა დროის შენი მაგის ფიქრია! შენ,  
ჩემთვის ჯუჯუა, სწავლა მიიღე და რამე საქმეში ჩიდეჭვი. ამა-  
სობაში შენი დაი წამოისტყვა, იგი უნდა გაათხუო, პაწერ  
ძმინები უნდა გამოიზარდო. შენ სა მიიცლი, გენაცვალე,  
სხვა საქმიზა, შენ მათის მაგიერობა უნდა უქნა მის დატევ-  
ბოლოს.

— յո թօրո, Եղիս, ծածառը ոմքը առ Թիվրէս: յանձնո, աճ, չցն ըլո, հցըն Ըստոցքոյլ Տօվմեց տմցցն Շնւա ցՎա՛րոննոտու.

— ხო, შეილო, აგი ოჯახი მისი დატიქტულია, იმითაც იწერება, ოჯახს მუშაორე, თვარი რაცხა აბდლურ საქმეს, რომელიც შენ არ მოგესწრება, თავი შესწირეო, ამას კი არ გწერს...

— Հայոց եար, Եցնա, օ՞ տէ շըշացնո՞ մազո՞թօ՞ ձօ, Մըն անընու, ծածոս ածըլալո յոդոլու. Յըր մոցա՛ռոցո, հիմո ծածոս մալոանո վըշառանո ոսո. Մըցնցնչուլու սպածունցն, մահո Մըն ուղիւրոծ, արլու ծալոանոս և այցընո յըմուս.

— სუ, ჩემი ნენაი, ცეხლი მეკიდება გულზე, შობა მო-  
მივიღოდა და მე ჯერ ბაღნებიზა ერთი არშინი ჩითიც არ მაქ  
ნაყიდი, ან ლვეძელი რეით გამუაქროთ და ან კალანდა რეით  
გვეითხნოთ. აკაცელი ლმერთმა უკელისი ჩემი შემწევ, ზორა



ყოლთეინ ხომ ვერ შემეწევიან, ყოლიკაცს თავის მჯდომარეობა  
სხვის დროი რომ იყოს, კიდევ კი, ზრის აღლის სოფელი მთლიად  
გამოხიბაკებულია! რა ვქნა, რა წყალში ჩავირდე, რომ აფე-  
რი ვიცი!...

მოსიყვარულე დედა-შვილი დიდ ხინს საუბრობდნენ ამ  
სავანზე. ორივე ცდილობდა გამოენახათ რამე წყარო, რი-  
თაც შესძლებოდათ მომავლის დახვედრა, მაგრამ ამაռდ. ვე-  
რაფერი მადანი ვერ აღმოაჩინეს... მოსაღამურდა კიდეც. შე-  
ზობლისას მყოფი პატარაებიც მოვიდნენ და დალონებული  
ცეცხლს მიეფიცხნენ.

— ნენა, ჩვენ იახოსას ვიყვავით. იახო და მისი ცოლი  
ორივე ქალაქში იყო და ერთი დიდი ხურჯინი ვატენილი  
მეტრანეს ფართლით. ცველა ბალნებს ხელებს უკერვენ, — ამო-  
თხერით სოქვა პატარა, შვიდი წლის ქალმა კეკემ.

— ნენა, მეც მინდა ახალი კრელი ბლუზაი და წულა, —  
ჩაერია ლაპარაკში კეკეზე უმცრ-სი ვაჟი ნოჟ.

— მეც მინდა ბიწო, წითელი პაპული\*) და პელანგი, —  
ზღუქუნით სოქვა სულ პატარა სეკრომ.

— ვაი, შვილებო, დედა თქვენის ხორცი დაჭამა ძილ-  
ლებმა! — თავისთვის ჩიილაპარაჟა მართამ.

დედა-შვილი მწვავე ფიქრში შეიპყრო. ორივე იმის ფიქრ-  
ში იყვნენ, თუ როგორ დაემოსათ ნახევრად შიშველი ბავ-  
შვები...

— ნენა, ნენა, ნუ გეშინია, ყორიფელი ბევრი გვექნება,  
შობასაც კარგად გვეითენებთ და კალანდას კიდევ უკმოქსათ,  
იმფერი რაცხა გამახსენდა, რომ უთუოთ ბევრ ფარის ვიშვე-  
ნი. ერთ თუმანს მაინც კი ვიშვენი, — სიხარულით და ილტა-  
ცებით წამოიძინა კარლომ.

— ვაი, ჩემი ნენაი, თითის სიგძე ყაზილირშა სა უნდა  
იშვენო ერთი თუმანი?

\*) წითელი ჩუსტი.



— კი ვიშონი, ნენა, კი, მარა შენ ერთი საჭირო უნიტერაციას გნა. მე ფულს ბრავაწობამდე (შობის წინა დღე) ვერ ვიშოვნი. მერე ხომ ვერ მოასწრებ ტანისამოსის შეკერვის, შანამდი, ჩემი ნენი, ჩემი ძუძუი, დაფაცურდი და შობა დილამდი ვინცხაიდან ერთი თუმანი ისესხე, შობა დილას უსიკეტილოთ მივცემდი — ა, ნენა, ჩემი ნენი, ნუ გამიწბილებ! აქ კარლო მოეხვია დედას და მხურვალედ ჩამჟოცნა.

— ყბას რეიზა იქცევ, ნენავ, შობა დილას ვინ მოგცემს?..

— ნენა, მე ალილოზე წავილ! — მტკაცედ წარმოსთქვა კარლომ.

— უი, შეილო, დასტურ ქე მეგონა რაცხა! ალილოზე ერ თუმანს რაფერ იშოვნი, დიდი გიშოვნი შენდა წილად მანათი ან ექცი აბაზი, თუმანს შენ, ყაზილარი კი არა, დიდს გუუჭრდება ამ ქვესატობის დროს.

— რეიზა არ შიჯერხარ, ოჯო, რომ არ ვიცი? ახლა შენ ფიქრავ, მე წავილ და ჩემხელა ბაღნებს წევიყვან გონია თუ? ჩიჩი, ნენავ, ვერ მიხთი! მე ალილოზე წევიტან ცველაზე უკეთეს მომღერლებს: ივლიანე კეჭაყმაძეს, დათიკო ბაბილონებს და ვარლამ სიმონიშვილს.

— ვაი, შეილო, რაფერ ტყუილათაი ყაშმიერობ! მაგინი თუ წავა ალილოზე, ფარას შენ რეიზა მოგცემენ, მათმა თავმა ქვი არტყა თუ?

— ნენა, ჩემი ძუძუი, ნიკო ნუ მოგიკტება, შენ ახლა იმს ნუ კითხულობ, რაფერ იქნება აგი საქმე. ბაბაი ნუ მომიკტება, იმს მე კი გავახერხებ, ოლონდ შენ შობამდე საცხა ფარა გააჩინე სასესხებლათ. საშობოთ, ჩემი კუბო ნიხე, თუ შობა დილას არ გიშონო ვალის გასასტუმრებელი.

— შენი მტერის და ავის მდომელის კუბო ვნახე, შვილო, შენ ჯვარი გწერია, სალავათს რეიზა ჩივი. კი, ნენა, კი, შეილო, რაც უნდა დამემართოს, სუნთლა პირში სული რომ ამეცირთვა, საშობ-საკალანდოთ ასე ხომ არ დაგტიქებთ? შენ იშოვნი თუ არ იშოვნი, მე მაინც კი გავახერხებ რაცხას.

შობის წინა დღეა, ან როგორც გურიაში ეძიხიან, პრა-  
ვაწობაა. ყველა ფუსტუსებს, ყველა სადღესასწაულოდ ემზა-  
დება. მოელი უბანი ხმაურობს, დიდრონები საქმიანობენ, პა-  
რარები ყველაფერს დაუზარებლად სიამოცნებით ასრულებენ,  
ყიეინობენ, მღერიან:

„ხვილ შობაა, ხვალ შობა—

„ჩვენი მტერის დარჩობა!“

სოფელი მომწვარეთი სამაზრო ქალაქს ზედვე აკრიას, ამ  
სოფელშიაც დღი მზადებაში არიან: კაცები შეშას ჩეხენ, ქა-  
ლები ზოგი პურის ცომს ზელს, ზოგი კეცს ახურებს. აცხო-  
ბენ სახვალიოდ სხვა და სხვა ზომის ლვეძლებს, რომელსაც  
გულში უთავსებენ სამი დღის გამხმარ მაგრაც მოხარშულ  
კვერცხებს და კყინო ყველს; ზოგი ლვეძლი სასტუმროს (სტო-  
ლის დასმშვენებელი), ზოგი საოჯახოთ საჭმელი, ზოგი შეა-  
ლილუეს საჩუქარი, ამაზე პატარები კი მუცლის სალოცავად  
არის დანიშნული. ეს პატარა ლვეძლები თითო ეკუთვნის  
ოჯახის თითოეულ წევრს, რომელიც ვალდებულია საკუთრად  
შესკამოს.

ჩვენი ნაცნობი მართაც ემზადება, შეძლებისა და გვა-  
რად, სადღესასწაულოდ; მართამ, როგორც იყო, იშოვნა სე-  
სხად ერთი თუმანი და უყიდა ყველა ბავშვებს ახალი ტანი-  
სამოსი და ფეხთ-საცმელი, იყიდა იგრედვე თრი იყა პურის  
ფქვილი; ყველი, კვერცხი და საშობოდ გასუქებული ქათმე-  
ბი სახლში მოეხერხებოდა. დაცხო ლვეძლები: ერთი დიდი  
ლვეძლი და ერთი პატარა მუცლის სალოცავი მის საყვარელ  
ნიკოს სახელზედაც გამოაცხო. ჩასიკვირველია, ღრმად იყო  
დარწმუნებული, რომ მისი ხუთი წლით გადასახლებული ნი-  
კო საშობოდ შინ ექრ მოვიდოდა, მაგრამ მიმო თავს ინუ-  
გეშებდა და თან ჩვეულების ასრულებდა. მართას შეიღები  
გარს ეხება და ყველა ცდილობდა მიშველებოდა, რითიც შეეძ-



ლო. პატარი სედრიკ არ ცელქობდა, ხელში ეჭირუა ფაზურული კანი თაღლი წითელი „პაპულები“ და გულში იხურებდა.

კარლო დილიქოთ აღმარე რომ წამოხტა, მერმე სულ ხაქ-  
მეში იყო გართული, მაგრამ ცალი თვალი სულ მზისაკენ  
ეჭირადა, როცა მზე გადიხეოდა, მაშინ უთხრა დედას:

— ნენა, აბა, შენი კირიმე, მე აწი გამიშვი ქალაქში,  
ხელოთ ჩეკირბენ და ისევლო ჩე ამერიკბენ.

— წალი, შვილო, მარა, ჩემი ნენაი, ნუ დეივვიანებ, ოვარა მჯდერით მოვკრები, აა, ეგი სამი კაპეკი წეილე და ორი კაპეკის წმინდა სინთელი იყიდე, კაპეკის საქმელი.

— ამხანიგო ნესტორ, შენ ოვარ გეწყინება, უწინ ნენას მიულოცოთ ქრისტეს შობა, ხომ იცი, რაფერ დამჯავრიანებულია, შერე შენსას მივიღეთ. შემდეგ სოფელი ჩამევიაროთ, ბოლოს კი ქალაქში ჩავიდეთ, ხომ იცი, იქინები დიდ-კაცობა და უფრო გვიან იძინებენ.

— სწორედ მეც მასე ვთიქმირები, ამხანიკო!

სოფელში უკვე სანთელი ანთებული იყო, როცა ჩვენი  
პატარები ესტუმრნენ. მოოთას ქმნის კარგბი მიხერხული იყო.  
კარლომ ყუთი გახსნა, ძაბრი ამოიღო, მთაბა ყუთზე, თავის  
ადგილის ნემსი მიაშეგრა, შემდეგ გასალებით აამდენჯერმე

გადაატრიალი და მომღერალი ყუთიც მზად იყო — კარგადი მომღერალი ყუთს პატარა ფეხი გამოუწია. თვალთმაქცე ყუთზე მრგვალი ფირფიტა შეინძრა და ხმა-მალლა შემოსძახა:

— ივლიანე კეჭაყმაძე, ერთი ქრისტეს შობის ალილო ბრძანე! ივლიანეს თხოვნის გამეორება არ დასკირდა და თავისებურ რიჩიანის, სასიამოვნო ხმით მკეირცხლად შემოსძახა: — ი ააალილო გართოო! მოგილოცავთ ქრისტეს შობას, ღმერთმა მრავალს დაგასწროთო! დამწეუბ ივლიანეს დათიკე ბაბილონძემ მოძახილი უთხრა, ორივეს ვარლამ სიმონი შეიღმა თავისი ძალუმი ბანი ჩაუგუგუნა და იმ რიგად შშვენიერი მარალი, კეთილხმოვანი, მწყობრი ალილო მართას ქოხის წინ გაისმა. ალილოს ხმაშე ბავშვებმა ყურები ცქვირეს, მართას ჩართლი მოსარიდებელი უცხო მომლოცავები ეგონა, ტანისამოსი გაისწორა, სტუმრების მისალებად მოემზადა, კარი გამოალო და ზრდილობიანად დაიძახა:

— რადგანაც სიკეთე ჭერით და კი მიკადრეთ, შით შემობრძანდით!

წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა დიდრონ მეალილუეს მაგიკურად, დაინახა მისი კარლო თავის ამხანაგით. მომღერლები კი არსად სჩანდნენ. ბავშვებიც გარედ გამოცვიდნენ. მართამ მომღერლებს დაუწყო თვალით ძებნა.

— ივლიანე კეჭაყმაძეს ხომ არ ექცებ, ნენა, თავის აფხანიკებით. იგინი აგერ მყავს იმ ყუთში დამწეულეული; ხვალ დილამდე ასე შეყოლება, მერე კე გუუშობ შინ. მხიარულად უთხრა კარლომ. მართა ყუთს დააკვირდა, პირჯვარი გადაიწერა.

— დაგელოცა, ღმერთო, სამართალი! აგი სწავლულები რას არ მეიგონებენ. ვინ გათხოვა, შვილო, აგი მარშინა, ვინ შევიდა ცოცხლითი სამოთხეში? ახლა კი მწიმს, რომ კი იშონით ფარას, იმფერი ურცხო საკრავი გაძვენ.

— ასეა, ნენა, ქვეყანაზე კეთილი კაცი არ მეისპობა, აგი მე ვიცოდი, ქალაქის თავს ქონდა. ბევრი გზობა მიუურებია



କୁଶ୍ମାରିଲାବନ, କାଳ୍ପନିକାରୀ ହାତ ଉପରୀରୁାଏବା, ଯାହାତି ଗଢିଲା କାଳ୍ପନିକାରୀ ରୂପ ଦା ଥିଲେଗିବା, ଅବଳା ଘେଟେଖେଜେ ଦା କ୍ଷେତ୍ର ଥାତେଖେଜେ, ମନଦିନ ଦା କ୍ଷେତ୍ର ଥାମିଲାପ୍ରେତିତ, ଘେଟେଖେଜେରୀ.

— ଓପରୁଥିଲା ଲମ୍ବରିତିବା, ଲାବତିବା ମହାନ୍ଦେଲମା ଫ୍ରେଡାମ ନିକ୍ଷେତ୍ର ମିଳିପା!

ଯାହାଲାମ କିନ୍ତୁ ମନଦିନରୀତା ପ୍ରାସାଦ ଦା କିନ୍ତୁ କିନ୍ତୁ ଅନ୍ଧାରୀ ଏଲାଲା. ଏଲାଲାପ୍ରେତୁଳା ଦା ଗାନ୍ଧିପ୍ରାପ୍ତରୀପ୍ରେତୁଳା ଥାରିତା ତିରଜ୍ଞାନରୀ ନିର୍ଭେଦିତା. ଦାବିଶ୍ୱରୀ ତତ୍ତ୍ଵାଲ୍ୟର ଗାନ୍ଧିପ୍ରେତୁଳାପ୍ରେତୁଳା ଦାବିଶ୍ୱରୀ ନିର୍ବିନ୍ଦନ୍ୟନ୍, ଯାହାନେବା, ପ୍ରାସାଦ କାନ୍ଦୁପ୍ରେତୁଳା ଦା ଦାବିଶ୍ୱରୀବେଶରୀ.

— ଏବା, ନେବା, ସିରୁପୁଥୁରୁଲା ଏହି ଥାମ୍ବାମର, ସିନ୍ଦର ଶେବ ଉନ୍ଦା ମନଗୁପ୍ତି—ଗ୍ରେହିକାରୀପ୍ରେତୁଳା. ଏକ୍ଷେତ୍ରାନ୍ତ ନେଚାରୁରିବାର ଥିଗାଲା, ଏକ୍ଷେତ୍ରାନ୍ତ ଘାରାନ୍ତ ଦା ମନଗୁପ୍ତିମନ୍ଦରୀପ୍ରେତୁଳା ଦାବିଶ୍ୱରୀବେଶରୀ ଶ୍ରାମିକୀଯିତା. ମାରିତାମ ମିଳିପା ନେଚାରୁରି, କାନ୍ଦୁପ୍ରେତୁଳାପ୍ରେତୁଳା ମନଗୁପ୍ତି—କାନ୍ଦୁନାଦରାଦ୍ୟମ, ଏହି ଶେବରୀ ଦା କାନ୍ଦୁପ୍ରେତୁଳା.

— ଏବା, ନେବା, ଶେବ ଏହି ଶ୍ରେଣୀନାମ, କିନ୍ତୁ ଫିଲାମନ୍ତର ବେଳ ମନଗୁପ୍ତି, ଏବାପରି ମନଗୁପ୍ତିରୀପ୍ରେତୁଳା, ବୁଲ ଉନ୍ଦା ଫ୍ରେଡାମରୀ.



— କି, ନେବା, କି, ଶ୍ରେଣୀ, ଗନ୍ଧାପ୍ରାପ୍ତରୀ ଫ୍ରେଡା-ଶେବ. ଏହି କାଳା ଶ୍ରେଣୀ, କିମ୍ବା ନୋହା, ଶେବାରୀ ନେପାଲପ୍ରେତୁଳା ଦାବିଶ୍ୱରୀବେଶରୀ ଦାବିଶ୍ୱରୀପ୍ରେତୁଳା, ଏମିତାବାନୀର ଦିନି ମନ୍ଦିରରୀ.

## III


  
ეროვნული  
საბჭოო მინისტრი

კარლომ და ნესტორმა მთელი დამც იარეს. გზაზე იყდევნენ სოფლის ბავშვები, რომლებიც ბარების ზიღვაში დიდის სიამოვნებით ეშველებოდნენ ჩვენს პატარაებს. საცა მიეიღნენ, უკელის ძლიერ ქსამოვნი მათი სტუმრობა. ზოგს მომღერალი უკუთი ჯერ არ ენახა და ძლიერ უკვირდათ, საჩუქარსიც უხევდ იძლევდნენ.

— ასეა, ძმავ, ეკლის მონაცემზე ეკალი ამჟა. ნახავ თუ მაგ თითო სიგდე ბალანძმ მამაზე უფრო შორს არ წევიდეს — შეურით ამბობდნენ ზოგიერთი მეზობლები.

როცა სოფელი ჩამოიარეს, ჩვენი ცელქები ქალაქს ესტუმრენ; პირველად მიულოცეს კეთოლ, მოხუც ქალაქის თავს. ქალაქის თავმა სიამოვნებით მიიღო, დარიგება მისცა, ხმელი ხილით ჯიბეები გამოუტენა და თან სამი მანეთიც აჩუქა. ნიკას პირადად იცნობდა და პატივსაც სცემდა, როგორც მოწინავე პატიოსანს გლოეს. გარდა ოლიოლოს მთქმელ ფირფიტებისა, საში სხვა ფირფიტი კიდევ ითხოვა, ასე რომ ახლა ჩვენი ჯადოსანი უკუთი, ოლიოლოს გარდა, მღერიოდა: „მასპინძელის მხიარულსა ყავს სტუმრები საყვარლები“, „მელქისას ხელხვავს“ და მკვირცხლ, სიცოცხლით ხავს „ხასან ბეგურას“.

შეე უკვე ამოსული იყო, როცა დაღლილ-დაქანცული, უძილობით დათენთილი კარლო და ნესტორი სახლში მოვიდნენ. მართა მხიარულად დახვდა, პირი დააბანინა, კარლოს მუცელზე სამჯერ მუცლის სალოცავი ღვეველი შემოვლო და სამჯერ ასე უთხრა — „შენი მუცლის ტკიცილი იღმა ქარს, დაღმა წყალსო“. მერმე რჩივეს ქამა ცხელი ღომი და შემფურზე შემწვარი ქათამი. ნესტორმა გრძელი ქისა (რომელიც პატარა პატკე უფრო ჰგავდა ვიდრე ქისა) მართას გადასცა. მართამ კალთაზე გადმოყარა ფულები და, როცა ერთად იძლენი თეთრი და შავი ფული ნახა, ცრემლები ვერ შეიმაგრა. მივარდა კარლოს და ნესტორს, გულში ჩაიკრა და ორივე გარაცებით მხურვალედ გადაკოცნა.



სანიმდე ბავშვები სიკერძლს შეექცეოდნენ, მართმული მომავალი აბაზობით გადათვალია ფული, მეტმე ხუთ-ხუთი ერთად დააწყო. მოელი ლამის ნიშვნეარი აღმოჩნდა სამი თუმანი, ორი მანე-თი, სამი აბაზი და ორი შაური. მოელი ეს თანხა სამად გაა-ნაწილეს: ერთი წილი მომლერალ ყუთს შეასველეს, ერთი მებარევ—მოლარე ნესტორს და ერთიც—ჰატია თრივანიზა-ტორ კარლოს. ესევე გაინაწილეს ღვემლები და ხილი. ნეს-ტორმა ყველის მადლობა გადაუხადა და სილისკენ სიმღერით მოჰკურებულია. კარლო კი დაწვე და მიიძინა.

Հռուց մեղանշուլմա թարտամ և մըրտակ մեղանշուլմա մուսմա Մըզուլցիմա սալուլո և վամցի, թառ լըրիմիրա Եցերորհուս թամա, նոյուս օմեանցյո ոռուցի ուցուս Եցերորհուտ, Կապու կրտուլու և Մըցնցիմա. Կարլոս ջալուցուն և գուցադուն Մըզէյո սոհելունծու- սաւուս. Մըհմբ թարտաս մուշիմանդա և յուտերա:

— ჩემი რძალო, მე შენთან უკაცრავიდ ვარ, როგორც  
წესი და რიგი იყო, ისე ვერ მოგხედე, ვეფური პატივი გეცი,  
მარა, იმედია, მოვესწრებით. იხლა ნუ იწყენ და მე და ჩემში  
ნესტორმა ასე გადაცწყვიტეთ, შენი შეილის წყალობით რომ  
წუხელის ამდენი ფული ერგო ნესტორს, იქიდანა ეს ერთი  
თუმანი ნიკოს გაუგზავნოთ ამ საკალანდოთ. ვიცი, იამება,  
არა, ნესტორ?

— յո, ծածա, յո, նամերանո յառ ովնցին.

— დიდი მაღლობელი ვარ, ჩემი ისტებ, ღმერთი შენი  
თავი წუ მომიშვლოს. ყველი რომ შენისთან ამხანაგი ყო-  
ლოდა წიკის, ან მე ან მას რა უპირდა...

სილამო გამს უბრალო, კრუეფის ლამპის მეტოდი სინათ-  
ლეშე ყარლო წერილს სწერდა, თუ შე რა ეწერა:

„ჩემთვის დაუკარგელო ბაზა!

„პირველიც მოგიკითხავ და უთვესოვ უანგარიშის გაკოცებ. ჩვენ ყველანი ძრიელ კარგად ვართ, მარა შენი უნახობდა ძლიერ გვაწუხებს. ამას, ჩემთვის კარგო მიმა, ამ საფა-

ლანდოთ გიგზავნით თუთხმეტ მანათს. ამითგან თუმცა მანათი მანანაგის იოსების შეილი ნესტორი გიგზავნის და ხუთ მანათს მე. ჩეენ ალილოზე ვიყავით და ოქინეი ვიშოვნეთ სამი თუმანი, ორი მანათი, სამი აბაზი და ორი შაური. გვიახლა ივლიანე კეჭაყმძე, დათიყო ბაბილონე და ვარლამ სიმონის-შეილი. ისინი მთელი ღამე მომლენილ ყუთში გვყავდა. აფი ყუთი ჩეენმა კეთილმა ქალაქის თავში გვათხუა ტყუილითა. ნაშეფრი სამათ გავყევით, ორი წილი მე მერგო, ერთი — ნესტორს. ჩეენ ახლა აფერი არ გვაკლია საკალანდოთ. ერთ ნაზარდასაც\*) ვიყიდით. ნენა კარგათ არის და მანაც და უვილა ბალნებმა მოვიყითხა და ათასობით გაკოცეს. მოგილო-ცივი ქრისტეს შობას და მომავალ ახალწელიწადს.

“შენი მოსიყვარულე შეილი კარლო.”

აპოლონ გურული



\*) ნაზარდა — ბურვაჟი.



## ეპატერინე გაბაშვილისა

გერ თრმოცი წელიწადი შესრულდა, რაც სამ-  
წერლო ასპარეზზედ გამოვიდა ჩვენი სასიქადულო  
ნიკიერი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი-  
სა. იშვიათიდ მოიძებნება ჩვენში ისეთი შეგნე-  
ბული ქართველი, რომელიც ამ ნიკიერ მწერალ  
ქალს არ იკრიბდეს და ლირსეფულიდ არ აფასებ-  
დეს მის ესეთს ხანგრძლივ სალიტერატურო და საზოგადო მო-  
ლვაწეობას. ვისაც კი ამ თრმოცი წლის განმავლობაში ჩვე-  
ნი ცხოვრების მიმდინარეობისათვის თვალ-ყური უდევნებია,  
ვისაც ქართული უკრნალ გაზეთების გაუმჯობესობა და საერ-  
თოდ ჩვენი საზოგადო საქმეების მკვიდრ ნიადაგზედ დამყა-  
რება ქართველი ერის წინმსვლელობის სიმედო იარაღად დაუ-  
სხავს, იგი უთუოდ თეითოვეულ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს  
დიდის პატივის ცემით მოიხსენიებს და მათ შორის ეკატერი-  
ნე გაბაშვილისას განსაკუთრებით. ვამბობთ „განსაკუთრებით,“  
რაღაც როგორც მრავალ სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენშიც ქა-  
ლის სწავლა-განათლებას სამწუხაროდ ძრიელ ნიკლები ყუ-  
რადლება იქვე მოქცეული, ქალის სამოლვაწეო ასპარეზი ვი-  
წრო ფარგლებით არის შემოხაზული, მრავალი სამოლვაწეო  
საჩინოელი ქალისათვის ჯერ კიდევ საოცნებო ხილია და ამი-  
ტომ, თუ რომელიმე რჩეული ქალი ყველა ამ დაბრკოლე-  
ბას დასძლებს და თავის ცოდნით, ნიკით და იშვიათის მხნე-

ობით საზოგადო საქმეების ფერხულში ჩაებმება და ფაფულებრივია ლვაწეობით თვალსაჩინო კვალს დასტოვებს, ესეთი იდამიანი „განსაკუთრებითის“ პატივის ცემის ღირსია. ეკატერინე გაბაშვილისა სწორედ იმ ქალთა რჩეულ გუნდს ეკუთვნის, რომელიც, მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებისა, თავის ნიკით, შრომით და იშვიათის მხნეობით საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობის დროს ეკლით მოსილ გზას არ გაურბოდა, თავისი წვლილი შექმნდა იმ სალაროში, რომელიც ხალხის კეთილდღეობისა ჰქონის მსვლელობისათვის დიდ განძალ არის მიჩნეული.



ეკატერინე გაბაშვილისა

ეკატერინე გაბაშვილისა სწორედ იმ იშვიათ ქალთა წრეს ეკუთვნის, რომელიც ყოველთვის სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავის პირად ინტერესებს ივიწყებს და საზოგადოების სამსახური თავის სამღვთო მოვალეობად მიაჩინია და რომელიც სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით, სრულიად მოურიდებოდა, ყმატვილურის გატაცებით ამხნევებდა თავის მოძმეებს და საზოგადოებრივ იდეალებს უნერგავდა გულში.

„ნაკალულის“ ჩედაქცია თავის მოვალეობათ სთელის



გააცნოს თავის ჰერი მკონხველებს ამ სისიქადულზე და გადასახლებას ველი ჭალის ცხოვრება და მოღვაწეობა იმ ახრით, რომ ჩვენ-  
მა მოზარდმა ახალთაობაშ სიყმაშვილითვე ჩაინერგოს თავის  
ნორჩისა და უმწიველო გულში ღრმა ჰატიის ცემა იმ ადა-  
მიანებისა, რომლებიც თავის ხანგრძლივისა და გულშრე-  
ლის შრომით, ნიჭითა და ცოდნით საზოგადოებას სწორსა და  
კეთილ გზაზედ აყენებენ, რომლებიც მუდამ დაუღალავად  
შრომობენ საზოგადოების სასარგებლოდ.

ეკატერინე გაბაშვილისა, ან როგორც ჩვეულებრივ ეძღვიან „კატო“, დაიბადა ქალაქ გორში 1851 წ. კატოს მამა რევაზ თარხან-მოურავი თავის დროის შესაფერიდ განითლებული კაცი იყო. რევაზ თარხან-მოურავის მოელს ქართლში ქვეით, პატიოსან, გულკეთილ და ნასწავლ კაცის სახელი ჰქონდა გიგარდნილი. მართლაც, რევაზი სუნებით ნიჭით დაჯილდოვებული კაცი იყო, წიგნების კითხვა მეტად უყვარდა, განსაკუთრებით კი იურიდიულისა და ისტორიულ წიგნებისა. ცველაზედ უფრო გატაცებათ საფრან-გეთის ისტორიის კითხულობდა და განსაკუთრებით კი საფრან-გეთის რევოლუციის ხანა ანტერრესებდა. იურიდიულ საკითხების ზედმიწევნით მცოდნე იყო და კიდევ მით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოში იმ დროის მთავრობას არც ერთი სამშიმო იურიდიული საკითხი არ გადაუწყვეტია, რომ ამ საკითხის განხილვის დროს რევაზ თარხან-მოურავი არ მიეწეო კომისიაში.

მთავრობაში რევაზი, როგორც კარგი მცოდნე კანონებისა და იდეილობრივ პირობებისა გამომძიებლად დანიშნა და გორუში გაამწევსა სამსახურში. რევაზმა თავის კეთილ გონიერებით, სამართლიანობით და პატიოსნობით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურაშთელის საზოგადოებისა, განურჩევლად წოდებისა

კატოს დედა, სოფიო ბაგრატიონი — დავითიშვილის ასული, გულებუთილი და ნიჭიერი ქალი იყო. სამწუხაროდ, კა-



ტოს დედა ძრიელ იღრე გარდაეცვალა, ხა რომ ჩვენ მწერალებია კალს თავისი დედის პირის სახეც კი არ ახსოება.

ხუთი წლის პატარა კატო და მისი მშა სოსიკო მამისა და დიდიდედის (დედის დედა) ამარა დარჩენენ. მთელი ოჯახის მოვლა-პატარანობა და გამგებლობა რევაზში, მეულლის გარდაცვალების შემდეგ, თავის სიღედრის ჩააბარო.

სამწუხაროდ, კატოს დიდიდედა მეტად სასტიკი და თავისებური ადამიანი იყო. სულ იმის ცდაში იყო, რომ თავის სიძის მდიდრული გამართული ოჯახი არ მოშლილიყო და იმიტომ მრავალ ნაირად ავიწროვებდა როგორც იჯახის მსახურებს, ისე მახლობელ გლეხ-კაცობას. რამდენად რევაზი გულკეთილობას და მორუნველობას იჩენდა გლეხ-კაცებისადმი, იმდენად კატოს დიდიდედა სასტიკად და შეუბრალებლად ეპყრობოდა გლეხ კაცებს. კატო ყმაწვილობითვე უნებლიერი მოწამე ხდებოდა იმ უსამართლოებისა, რომელსაც მისი დიდიდედა იჩენდა გლეხებისადმი. კატო ბავშვობითვე სებრალულის თვალით შემყურებდა გლეხ-კაცობას, არაფრთ მოსწონდა თავისი დიდიდედის უსამართლო საქციელი, მაგრამ ხუთი-ექვსის წლის პატარა გოგონა, აბა, რის გააწყობდა „თვითმეპყრობელ“ დიდიდედის წინააღმდეგ, რევაზიც უკანასკნელი აცხადებდა თავის სიღედრის ესეთის თვითნებობის შესახებ, ხშირად უსიამოვნებაც მოსდომით, მაგრამ რევაზი თავის გულ-კეთილობით ყოველთვის დამნაშავე გამოდიოდა თავის სიღედრის წინაშე.

დიდიდედა თავის პატარა კატოსაც ძრიელ სასტიკად ეპყრობოდა. როცა რევაზი უკმიყოფილოდ აჩებოდა ესეთის სისასტიკით, სიღედრი, თუმცა დაყვავებით, მაგრამ სრულის აწმენით გადაჭრით ეტყოდა რევაზს: „შეილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგება“. დიდიდედა, რისაკცირველია, ძველის აზრების მიმდევარი ქალი იყო და მაშესადამე მისი გავლენა კატოზედ სწავლა-აღზრდის მხრით, თუ არას დაკლებდა, ვერაფრის ვერ შემატებდა.



შვიდის წლის იქნებოდა კატო, როცა მისმა მატეჭყამისზე გადას ხურს თავი დაანება და თავის შვილების სწავლა-განათლების ზრუნვას შეუდგა. დიდიდების რჩევით, შვიდის წლის კატო იქვე გორში მიაბარეს ვიღაც ფავლენიშვილის ქალს, „პროკურორის ქვრივის,“ როგორც გორში ეძინოდნენ. ეს „პროკურორის ქვრივი“ მეტად სასტიკი ქალი იყო, სწავლა-აღზრდისა არა გაეგებოდა რა, მოწაფეებს სადღაც ბოსელში ამწყვდევდა და თვითონ კი გორში არხეონად დასერინობდა. საბრალო მოწაფეები კი და მათ შორის ჩენი კატოც უსახლვროდ იტანჯიბოდნენ ბოსელში დამწყვდეული და სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ. „პროკურორის ქვრივი“ კატოს ერთის წლის განმავლობაში ფსილმუნებს აზეპირებდა „დავითნიდან.“

კატო რომ რე წლისა შესრულდა, რევაზმა ტფილისში ჩამოიყავანა და გერმანელების სკოლაში მიაბარა, შემდეგ იგი გადაიყვანა მანიდავითში სომებს ქალების ამბარდანოვების პანსიონში, მაგრამ როგორც გერმანელების სკოლაში, ისე ამბარდანოვების პანსიონში სწავლა-აღზრდის საქმე ძლიერ ပუდად იყო დაყენებული და ამიტომაც კატოს ამ სასწავლებლებში თითქმის არა შეუძენია-რა.

სწორეთ 12 წლისა იქნებოდა კატო, როცა კენჭი ერგოდა, თუ იგი ეგზამენს დაიკურდა, სახელშიციფოდ მიიღებდნენ საქალებო ინსტიტუტში. მამიმ კატო წარადგინა საქალებო ინსტიტუტში საეგზამენოთ, მაგრამ, რადგან სუსტად იყო მომზადებული, განსაკუთრებით რუსულ ენაში, უარი უთხრეს სასწავლებელში მიღებისა.

დიდიდების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა გაიგო, რომ კატო ინსტიტუტში არ მიიღესო. დიდების დიდის ხნის სურვილი იყო კატო მის გავლენის ქვეშ აღზრდილიყო და ამიტომ მან სიხარულით გაიტაცა თავისი შვილის შვილი გორში.

რაკი კატოს უსწავლელად დატოვება შეუძლებელი იყო, რევაზის აზრით, ამიტომ იგი ისევ გორში მიაბარეს ვინმე

ქუცნა ამირაჯიბის მეუღლეს, რომელიც ბუნებით ჟენერაციული ქალი გამოდგა და კიდევაც დიდი გავლენა იქონია კატოს მომავალ ცხორებაზე. ეს მადლიანი ადამიანი ხშირად ეტყოდა ხოლმე ჩვენს კატოს: „ჩემო კატო! ერთად ერთი გზა ბედნიერებისათვის სწავლია არის. მე ამ ეამად იმდენი ცოდნა არა მაქვს, რომ შენ გიხელმძღვანელო და ამიტომ შენ ყოველი ლონე უნდა იხმარო საღმე რიგიან პანსიონში მიებარო. უთუოდ საჭირო არის თავი გამოიღო და შენს წადილს მიაღწიო, თორემ უსწავლელი დარჩები და სამუდამოდ სანაცურად დაგრჩებო!“

ამ სიტყვებში შეტად ჩააფიქრეს ჩვენი მომავალი მწერალი ქალი. მან მამას ოფიციალისში წერილი მისწერა და ამ წერილს ცამეტი წლის კატო ასე ათავებდა: „მამა, თუ ახლა არ მიპატრიონე და საღმე რიგიან სასწავლებელში არ მიმიბარე, უთუოდ თავს დავისხრიობო.“

მამამ წერილის მიღებისათანავე წაიყვანა თავისი ქალი ოფიციალისში და იქ ქ-ნ ფავრის კარგად ცნობილ პანსიონში მიაბარო. ეს პანსიონი საუკეთესო პანსიონიდ ითვლებოდა იმ ეამად ოფიციალისში, რადგან ჭ-ნმა ფავრიმ ძლიერ დახელოვნებულ მასწავლებლებს მოუყარა თავი ამ სასწავლებელში. ქართულს ენასაც საპატიო იდგილი ჰქონდა დათმიბილი პანსიონში.

ქართულს ენას პირველ ხანებში ასწავლიდა ნიკო დედაბრიშვილი, შემდეგ ნიკო ინაშვილი და ილექსანდრე ცაგარელი.

კატო დიდის ალტიცებათ დაწაფა ყველა საგნებს და სულ მაღა მიიქცია ყურადღება ყველა მასწავლებლებისა. პირველ წელსვე კატო მესამე კლასიდან პირდაპირ შეხუთე კლასში გადაიყვანეს. ყველა საგანთა შორის კატოს საყვარელი საგანი ქართული ენა იყო და მასწავლებლები ნიკო ინაშვილი და ილექსანდრე ცაგარელი დიდად კრაულებილნი იყვნენ კატოსი. ილექსანდრე ცაგარელმა ქალთულ ენის ეგზამენის დროს მიიწვია ჩვენი დიდად პატიცული პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომელიც შეტად ნასიამოვნები დარჩა კატოს



ქართულის ენის ასე წარმატებით ცოდნითა. პ-ნშა ჰქონდეს გეგმა უკილმა ეგზამენის გათვალისწინებით შემდეგ ჩვენს მომავალ მწერალ ქალს აჩვენა თავის მიერ შედეგნილი „პირველი ანბანი“ ამ ძვირფასს საჩიუქარს ჩვენი კატო დღესაც მოწირებით ინახავს და სიამოვნებით იგონებს იმ დროს, როცა ასე გულ-მოლგინედ ეწაფებოდა თავის სამშობლო ენის შესწავლის.

ფავრის პანსიონი კატომ 1868 წელს დაამთავრა და იმავე წელს გორში გადასახლდა თავის დილიდებასთან. გორში იმავე წელს სომხების ეკლესიისთან დაარსდა პირველ დაწყებითი სკო-  
ლა, საცა ახლად კურს დამთავრებული კატო ქართულ ენის მასწავლებლად მიღწეულის. წლის ბოლოს სკოლის დამარსებ-  
ლებმა საჯარო ეგზამენები მოახდინეს კლუბის დარბაზში,  
საცა მოწვევული იყო მთელი გორისა და მახლობელ სოფლე-  
ბის საზოგადოება.

საწავლებელში 52 მოწაფე სწავლობდა, და მათ შორის 49 მოწაფემ ისე საუცხოვოდ დაიკირდა ეგზამენები, რომ მთელი საზოგადოება აღტიცებაში მოვიდა, და დედები გულმძხურვალედ გულში იქრავდნენ თავის შეიღების პატიოსანსა და მხენე მასწავლებელს კატოს და სიხილულით თან სტიროდნენ და თან დაუსრულებელ „ვაშის“ მიუძღვნილენ.

კატო ბუნებით პედაგოგი იყო და კიდევაც ამით აიხსნება, რომ იგი ყველაზე, საცა კი მოხვდებოდა, სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში თუ სოფლად აგროვებდა წერა-კითხვის უცოდინართ და ახალგაზიდურის გატაცებით ყველას წერა-კითხვას ასწავლიდა. კატო მართლა რომ ნამდვილი მოძრავი სკოლა იყო და მის დახმარებით და ხელმძღვანელობით მრავალ ქართველს იუზელია თვალები.

1870 წლიდან იწყება კატოს სალიტერატურო მოღვაწეობა. პირველი მისი წერილი: „გლეხ-კაცების აზრი სახოფლო სკოლებზედ“ დაიბეჭდა «დროებაში». მას აქვთ კატო განუწყვეტლივ შრომობს სალიტერატურო ასპარეზზედ და ამ ორმოცის წლის განმავლობაში არ ყოფილი თითქმის ისეთი

დრო-გამოშვებითი გამოცემა, რომ კატოს არ ჰპარტაშვილისა  
ბინოს თავისი შოთხრობა და მკითხველი სახოგადოები თა-  
ვისი უტყუარის ნიჭით არ მოხებდოს. ეკატირინე გაბა-  
შვილის მაღლიანის კალმის ნაწარმოებნი: «მაგდანას ლურ-  
ჯა», «რომანი დიდ ხევში», «კონა», «თამროს ნუვეში»,  
«გამარჯვებული ნიკო», «ლურისაბს პატრონა ვაუჩინდა»,  
«ორენა და ქუჩი», «ოჯახის ბურჯი», «ლვის შეილი» და  
მრავალი კიდევ სხვა ამბები და შოთხრობები ცეკველი ნიჭი-  
ერიდ აქვს დაწერილი. ეკატირინე ვაბაშვილის მაღლიან-  
მა კალამმა შუქი მოპონია გლეხი კაცის მიბეჭურულ კე-  
რის, ეს კერა გააღვივა და ამცნო მკითხველ სახოგადოე-  
ბის, რომ ამ კერის გარშემოც სიცოცხლე შესაძლებელია,  
ხოლო საკირო არის ადამიანური მოპყრობა ამ კერის გარ-  
შემო ძნებებში გახვეულ უსამართლობით დაჩივრულებთან.  
ეკ. გილაშვილისამ თავის შოთხრობებით გაუთვალისწინა მკი-  
თხველ სახოგადოებას მდიბიო, გლეხი კაცის სულის კვეთება,  
მისი ჭირი და ვარამი, მისი მწერალება და სიხარული და სა-  
ჯაროდ და მოურიდებოდა მათი მევობრობა მათთან სჯლი-  
ერიდ და კერშირება აღიარა. გლეხ კაცი ძმური, მეგობრული  
ხელი გაუწოდა და გულწრფელიდ უთხრა, შენც ჩემებრ იდა-  
მიანი ხირ, დროთა ვითარების გამო დაჩივრული, მაგრამ ნუ  
შეუშინდები, გულს ნუ გოტებ, დღევანდელი იუტანელი ვი-  
თარება საკეთილოდ შეგაცვლება, შენც ადამიანურ ცხოვრე-  
ბას დღეს თუ არა ხდალ მანც დაეწაფებით.

მეორე ნიშნობლივი თვისება ეკ. გაბაშვილის სამწერლო  
მოღვაწეობისა ის არის, რომ იგი ლრმად მცოდნეა ბავშვის  
პსიხოლოგიისა, იგი ერთგული მეგობარია ნორჩის ყრმისა.  
ლრმად აქვს შესწავლული ბავშვის რთული პსიხოლოგია და  
კიდევ ამიტომ არის, თვითონეული სიყმაწვილო მოთხრობა  
ჩვენის სასიქადულო მწერლისა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს  
მოხარუდ თაობაზედ.

ეკატირინე ვაბაშვილი მოღვაწეობა ჩარტოოდენ სალი-  
ტერატურო ასპარეზით არ განისაზღერება.

ორმოცის წლის განმავლობაში ქართველობას არ გვაძლეულია არც ერთი საზოგადო საქმე, რომ ჩვენს სასიქადულო მწერალ ქალს მონაწილეობა არ მიეღოს. ყველგან, ყოველ გვარ კომისიებში ქ-ნ ეკატირინე გაბაშვილისას საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი, იგი ყველგან დაუღალევის ენტრე-გით შრომობდა და ყველგან სიცოცხლე და მნეობა შე-ჰქონდა. «იმედი, იმედი და კიდევ იმედი»-ი ყველგან და ყველაფერში გაიძხოდა და მართლაც, უიმედოსაც კი იმედს უნერგვდა გულში.

ამ ხუთმეტის წლის შინად ეკ. გაბაშვილის თაოსნობით  
ტფილისში დაარსდა ქართველ ლარიბ ქალთა სახელოსნო სას-  
წავლებელი, რომლის გამგე და პატრიონი დღესაც ჩეკინი თმა-  
თეთრი, მაგრამ გულით კიდევ ახალგაზდა კატო არის. ეს  
სასწავლებელი გზის უკველევს ამ ქამით დარის ლარიბ და ლა-  
ტრაქ ახალგაზდა ქალს, რომელთათვის თითქმის უკველა სასწავ-  
ლებლების კარები დაბშულია.

დიალ, დიდებულის საქმით დაიწყო თავისი მოღვაწეობა  
ჩვენში. მწერალმა ქალმა, დიდებულადვე ემსახური ორმოცი  
წლის განმავლობაში საზოგადოებას თავისი მადლიინი კალ-  
მით და მოსუცებულობის დროსაც დიდებულს საქმეს ემსა-  
ხურება ყამაწვეილურის გატიაცებით! სახელი და დიდება ჩვენიერის  
მოჭირნახულე ახალგაზღადა-მოხუცს კატოს!

### ၃. မိန္ဒာပို့ရေစွဲ





## შობის დღესასწაული

### სხვა და სხვა ხალხში

(ე. ტ—სი)

**О**ნგლ სელებს ძალიან უყვართ შობა, დიდი სამბით დღესასწაულობენ და ასრულებენ ყოველ ჩვეულებას. რამდენისამე კვირის წინად შეუდგებიან სამზადისს. ლონდონში ჩამოჰყავთ მიტარებლით საკლავი ხარები, ლორები და ცხვრები. ქალაქის დიდრონი ბაზრები საესეა ბატით, ინკით და სხვა წვრილფეხით.

ულარიბეს ქოხის კედლებიც-კი მორთულია თავცეცხლასა და დაფნის ფოთლით. იხალგაზდა ქალებს, როგორც მუდარით ისე ღარიბთ, განსაკუთრებით უყვართ ოთახების მორთვა მცენარით. ძნელი წარმოსადგენია, რა გემოვნებით რთვენ ოთახებს უფრო შემძლებელ ოჯახებში. დაწნული ყვავილები, ყვავილის გვირგვინები, გრეხილები და თაიგულები ამშენებენ კედლებსა და კერს; ყოველი ოთახი მწევანით მოსილს გამოქვაბულსა ჰგავს. ინგლისელს განსაკუთრებით ძვირფასად მიაჩინა დეკა; ცდილობს იშოვოს ეს უძრავო



მცინარე შექმნითელ ნაყოფით, რომელიც მშვენიერად მარტივება  
მწვანე ფოთლებში. ოთახის შეს ალიგს კერძი ჰქილებენ შქე-  
რის ტოტს. ჩვეულებად არის, თუ კაცმა შეასწრო ქალს ამ  
ტოტ ქვეშ მდგომარეს, ნება აქვს გადაეხვითს და აკოცოს;  
თვით მეტის-მეტიდ პრანჯია და უკარება ქალებიც-კი მტკი-  
ცედ ასრულებენ ამ ჩვეულებას.

შობა დღეს ყველა სკუდილობს აღრე აღგეს, მეტადრე  
ახალგაზდა ქალ-ვაერი, რომ მოასწრონ გათენებამდე წარმოთქმა  
სალმისა: „გამარჯვება, საშობოო მოხუცო! კიდევ მოხვილე, კე-  
თილო მოხუცო, შენის კალარა წვერით!“ ყოველ კერაში  
დილიდანვე გუზგუჩებს ცეცხლი. „მოღულუნე ცეცხლი მუ-  
ხარში და კეთილი, მომლიმარი ცოლი უძეირდესესი განძია  
ყოველ მამა კაცისთვის“ ამბობს ინგლისური ანდაზა. შართ-  
ლაც, იშვიათი ღარიბი თუ იქნება, იმ ბეღნიერ დღეს გაჩაღე-  
ბულ ბუხარს არ უჯდეს. თითქმის ყველა სოფელისა და ქალაქში  
არის „საშობოო კლუბი“ — დამზოგველ კასის მაგვარი; ყველა  
ინახავს იქ ცოტ-ცოტა ფულს მთელის წლის განმავლობაში,  
რათა შეძლება ჰქონდეს საუკეთესოდ იღლესასწაულოს შობა.

ყველა მოასწავლე შინ მიღის, რადგან საშობოოდ იმდენ-  
საცე ხანს ითხოვენ, როგორც სორითვეოდ ზაფხულში.

დილით ყველანი ეკლესიაში მიღიან. სადილად, რომე-  
ლიც იმ დღეს უფრო უხვია, იკრიბება მთელი სახლობა და,  
„პლუმ-პუდინგის“ მოტანამდე, ყველა დინჯადა ჭის. იმ მათ-  
თვის საყვარელ საქმლის მოტანის შემდეგ-კი შეუდგებათ ყვი-  
რილი, ხმაურობა, მხიარულება. „პლუმ-პუდინგის“ ასხამენ  
ცხარე არიყს და ანთებენ. განსაკუთრებულ ხელოვნებად ით-  
ვლება, ვინც იქიდან ერთ ქიშმიშს ან ხილს ამოიღებს ისე,  
რომ ხელი არ დაიწვეს.

შობის პირველ დღეს ყველა თავის ოჯახში ატარებს  
დროს; ვისაც სახლობა არა ჰყავს, სტუმრად მიღიან სახლო-  
ბიან ოჯახში ნათესავებთან, მეგობრებთან ან ნაცნობებთან.  
სტუმრს სიხარულით ეგებებიან. დიასახლისი სუვერელის სია-  
მოვნებით უხვდება და სთავაზობს „პლუმ-პუდინგის“ ნიჟერს.



ინგლისის ზოგიერთ იდგილის თაღლილის წინა დღეზე პალ-  
გაზღები და ბავშვები იგრძელებენ სიწვად რა გინდა რას: შეშის,  
ფიჩხს, ქვა-ნახშირს, ტორფს (დამიწებული მცენარის ძირი),  
მიაქვთ საჯვაროზე (ჯვარედინ გზაზე) და, როდესაც თორ-  
მეტი საათი შესრულდება, ანთებენ,—სწვენ ძველ წელიწადს.  
ცეკვების ინახვენ მეორე დღის თორმეტ საათამდე. თაღლილის  
დღეს დიდ უბედურებად ითვლება, თუ ან სახლში გააჩინეს  
ცეკვები და ან ვისმე მისცეს, ამიტომ მთელ დღეს გაუქრო-  
ბლად უნთიათ ცეკვები. ბავშვები და მოზღიულები დადიან  
ქუჩებში და მღერიან: „ვისურვებთ თქვენთვის ბედნიერ თაღლ-  
წელიწადს, ფულით სავსე ჯიბეს, სარდაფს ღვინით სავსეს,  
მაგიდას საჭმლით დატვირთულს. ყოველივე ეს, მთელ წელი-  
წადს ულეველი გქონდესთ, თქვენ-კი, ქალბატონებო და ბა-  
ტონებო, რომელნიც ცეკვების უსხედარო არხეინად, შევი-  
ბრალეთ ლარიბნი, ტალაბში მდგომარენი“. ყოველ ხალხს  
საკუთრივ თავისი რამაც იქნება შემოლებული ჩვეულებად შობა-  
თაღლილის საღლესასწაულოდ. მაგალითად, შეეციასა და ნო-  
რვეგიაში შობის დღესასწაულს დაკავშირებული იქნება მრავალი  
ჩვეულება და მომასწავებლობა.

შვედელის აზრით, ყოველი სულდგმული უნდა ხარობ-  
დეს იმ დღეს. ამიტომ ცოტაოდნად შეძლებულნის (კილო-  
ბენ გაუნაწილონ თავის ნიშნადისიდან ლარიბებს, ურიგებენ  
პურს, სანთელს, შეშის, რომ ყოველ ოჯახში ენთოს ცეკვები,  
ყოველი ქოხი განათებული იყოს და ყოველი შშიერი—მიძლიარი.

შის ჩიხვლისას სახლის ბანზე ხარისხს გასდებენ, ჩიმოჰ-  
კიდებენ ზედ საკმაოდ პურის თავ-თავს, რათა ჩიტებიც მიძ-  
ლარი იყვნენ დიდებულ დღეს; დაბმულ ძაღლს უშვებენ,  
რადგან ყოველი პირუტყვი იმ დღეს უნდა ხარობდეს და თა-  
ვისუფლებით სარგებლობდეს. ძროხას, ცხენს და სხვა საქო-  
ნელს საუკეთესო საჭმელს აღლევენ. კამის დროს ეუბნებიან:  
„აჲა, ჩემო ძროხა, საშობოდ, ეს შენთვის არის, გახარე  
სადღესასწაულოდ“. კათმებსაც-კი რეტში მოხარშელ ხორბალს  
ან ბრინჯს აქმევენ.



სახლებს რთვენ ტილოს ნაკრებით, რომლებზეც დამატებულია სატულია სხვა-და-სხვა შემთხვევა ქრისტეს დაბადების ისტორიისა. კერზედ კვრენ თივის გვირევინს, რომელსაც სხვა-და-სხვაფერი ნაკრები აქვს მიმული. იატაქს ჰუნენ ან წერილიდ დაჭრილ ტეიით, ან თივით, ჩადგან თვით იქსო ქრისტე ბაგაში იწყვა. შემდეგ თივის სიფრთხილით ჰქონდენ და გაზაფხულშედ ყანის აყრიან, კარგი მოხადელი მოვალ.

შობის დღეს სადილზედ ყველანი ერთმანეთს საჩუქრებს ულოცავენ. როცა მთელი ოჯახი მაგიდასთან ზის, გაიღება კარები და შეა იატაქზედ დაეცემა ან ერთი ბლუჯა თივა შიგ ჩადებულ საჩუქრით, ან პაკეტი მჩავალ ქაღალდებში შეხვეული. ახალგაზდა ქალები და ბავშვები მისცვივიან, გახსნიან და პოულობენ შიგ ან უბრალო რასმე საჩუქრის, ან ლექსს, რომლის მოხველის სახელი ქვეშ არ არის მოწერილი.

სხვა ოდგილებში უფრო სხვაფრივ იციან საჩუქრების და-  
რიგება. პირველ დღეს დღესასწაულისას შემოვა თრი ადა-  
მიანი ნიღაბით: ერთი საშობაო მოხუც კაცს წარმოადგენს,  
შეორე — მოხუც დედაკაცს. მოხუცი კი ზარსა ჰქოქს, რომ  
თავისი მოხსელოვება ამცნოს, დედაკაცს ხელში უჭირავს კა-  
ლათა, სიცე ნივაჭრით, რომლებსაც ურიგებს იჯ მყოფთ. რო-  
დესაც საჩუქრების დარიგება გათავდება, იწყება მხიარულება,  
კვრა საქრავთა, ცეკვა. შველელებმა თითქმის ყველაზ იციან  
დაკვრა სკრიპკაზედ და ძალიან უყვართ ცეკვა. თამაშობაც  
მრავალნაირი და სასაცილო იციან. შობის ღამეს დიღხნო-  
ბამდე ისმის სიმღრა, სიკული და მხიარულება.

ჩერნობილშიც დიდებულიდ ეგებებიან შობას.

ამ ჩეეულებას მტკიცედ ასრულებენ თვით სახახლეშიაც! მეტაცე  
შეიღო მთავარის ნიკოლოზისა მირქო თითონ წავიდა ტყეში  
და მოსკრი საჭირო რიცხვი იმისთანა ხევბისა სახახლისთვის.  
დიახახლისები იმასთავი ასუფთავებენ ეზო-ყურეს, რეცხნ,  
ალაგებენ და სანოვიგეს იმზადებენ შეძლებისა დაგვარიად. ყო-  
ველ ჩერნაგორიელის სახლში, ქვემო სართულში, არის დიდ  
ბუხარ დატანებული ოთახი. ამ ოთახში ეგებებიან შობის დღე-  
საწიულს. მთელ იატაქს სქლად ჰევენენ თივით და ასე რჩება  
ოთახი ახალწლამდე. შემოსავალი კარები, სარკმლები და კერი  
მორთულია მწვანით, დაფრის ფოთლით და ფორთოხლით.  
ოთახიდან სულ გამოიტანენ ავეჯს, რჩება მხოლოდ რამდე-  
ნიმე სკამი. საღამოს ექვს საათზედ მთელი ოჯახი შეიკრიბება  
ქვემო თათახში. ბუხარში ცეცხლი ღუდლუდებს. დიდებული  
დუმილია. მერე მამაკაცნი გავლენ, დედაკაცებს და ყმაწვილ  
ქალებს დიახახლისი ურიგებს ანთებულ სანთლებს. პატარახანს  
უკან, შემოდიან კაცები და პატარა ბიქები, ილლიაში „ბაღ-  
ნიაკები“ უჭირავთ. ოთახში შესვლისას სახლის პატრონი და  
მასთან ჟველანი ამბობენ: „პატივი ეცით „ბაღნის საღამოს“.  
ამ სიტყვებთან ყველანი თავ-თავის „ბაღნიაკს“ სდებენ ბუ-  
ხარში ისე, რომ ბოლო ცეცხლში ჰქონდეს. დიახახლისი და  
დანარჩენი ქალები აყრიან „ბაღნიაკებს“ ხორბლის, სიმინდის  
ან შერიის მარცვალს. დიახახლისი მიართმევს სინით რგვილ  
ჰურს, სახლის პატრონი ამ ჰურს ჯვარედინად გადასჭრის,  
დასდგამს ცეცხლზედ და დაასხავს ლვინოს. მერე ყოველი წევრი  
ოჯახისა მივი ბუხართან და დასდგბს თერთ ფულს, რომ მთელ  
წელიწადს მდიდრად იყოს. პატარა ბიქებიც-კი, მოხდენილ  
ჩერნაგორულ ტანისამოსით მოკაზმულები, ძლიერ მიათრევენ  
თავიანთ „ბაღნიაკებს“, აწყობენ ცეცხლში კალის სილდაობებს,  
რომ ბევრი სათამაშოები მიიღონ სიჩუქრად. ამ წესის შესრუ-  
ლების შედევე, სახლის პატრონი იტყვის ლოცვას. ლოცვის  
შემდეგ დიახახლისი მოიტანს დოჭით ლვინოს, სახლის პატ-  
რონი უსურვებს ჩერნაგორიას კეთილდღეობას, მშეიღობია-



ნობას, თანხმობას, ლვინისა და პურის ბარაქის და ურუმუჩის ელგრძელებს თავიათ მთავარს ნიკოლოზის და ჩერნოგორიის მფარველს, რუს ხელმწიფეს. დიასახლისი ასმევს ყველას ლვინის, მოსამსახურებსაც-კი, რომელნიც იქვე არიან ოჯახის წევრებთან და სტუმრებთან ერთად. ქალიშვილები ურიგებენ სუსკველს ფორმოსტლებს და ტკბილეულობას. ამას შემდეგ შემოაქვთ მაგიდის ფიცარი, სდებენ თივიზედ, მოუსხდებიან გარს და იწყება ნადიმი. საქმელები, რასაკირველია, სამარხოა. სერბიელები და ბოლგარელები, ჩვეულებისამებრ, ფულს ატანენ გამოსაცხომ პურში; ვისაც ფულიანი ნაჭერი შეხვდება, უბელნიერებად ითვლება. ვახშმობის დროს ახალგაზლა ქალები გადიან გარედ, გამვლელ-გამომვლელს იწვევენ სახლში. და უმასპინძლდებიან. ასე მასპინძლობენ სამ დღეს. ვახშამთ უკან ჩინგურს უკრავენ და დამლერიან ქება-დიდების სიმღერებს იუნაკების ვაჟეაცობისას. კაცები წამდაუწუმ გადიან გარედ და უტყვოდ გატენილ თოვლებს ისცრიან.

ასე დღესასწაულობენ ჩერნოგორელი ლარიბნი და მდიდარნი, წარჩინებულნი და მდაბიონი. გერმანელები და უმეტესი თსტეების გერმანელნი, შობის წინაღამეს მართვენ შობის ხეს, რომელიც ავონებთ სამოთხის ხეს, სავსეს დედამიწის სიუხვით. შობის ხეს რთავენ ვაშლებით, ვარაყიან კაკლებით, პრიანიკებით, კანფერტებით, ყველანირ დავერცხლილ, მოვარაყებულ და სხვა-და-სხვათვერ ქალალდების მოსართავით. უწინდელს დროსა და ახლაც ძეველ ოჯახებში ყოველ სამკაულს შობის ხისთვის აკეთებენ ბავშვები, დიდების ხელმძღვანელობით: ბიქები აკეთებენ ყველანირ ფერის და მოყვანილობის კოლოფებს და კამფეტის ყუთებს, დავერცხლილ და დავიარაყებულ ქალალდის რგოლებს, რომლებსაც ჯაჭვებივით ამამენ ერთმანეთზედ შობის ხისათვის; პატარა ქალები ამზადებენ ქალალდის ყვავილებს და ჰკერავენ კამფეტებისთვის ლამაზლამაზ პარკებს, ასხმენ თალღითის მძივებს, სკრიან სხვა-და-სხვანირ სათამაშოებს, სწნავენ ფერადიან ქალალდებს, პაწაწია

ხალიჩებს და სხვა წვრილმანებს. ყოველ საღამოს შეიყრისტენ უკან  
ბიან ოჯახის წევრნი, შემოუსხდებიან მაგიდას და ამზაღურებს  
შობის ხის სამუშაულს. ეს ხატოთო საქმე იტოვებს ოჯახს, მო-  
ცლილ დროს საქმეს უჩენს და გემოვნებას უვითარებს. გრძელი  
შობის ხის მართვა-მოკაზმებისა, თვითოვეულმა ოჯახის წევრმა  
უნდა მოამზადოს დანარჩენებისათვის საჩუქარი. საჩუქარს ფა-  
რულად აკეთებენ, რომ საჩუქრის მიმღებმა არ იცოდეს და  
მოულოდნელად დასაჩუქრდეს. რამდენი თავში ცემა და ზრუ-  
ნვაა, რომ საჩუქარი იმის გემოვნებაზედ იყოს გაკეთებული,  
ვისთვისაც მზადდება. უკელანი ეშურებიან დროზედ მოამზა-  
დონ საჩუქრები. დგება შობის წინა დღეც. დილიდანვე რთა-  
ვენ შობის ხეს. როდესაც შობის ხე მზად არის, სანთლები  
დამგრებულია, უკელას მოაქვს თავისი საჩუქარი, რიგზედ შე-  
ხვეული, და სდებს მაგიდაზედ. ბინდისას უფროსები ანთებენ  
შობის ხეს, ოთახის კარებს აღებენ და უკელანი შემოდიან:  
ჯერ ბავშვები, მერე ნათესავები და ნაცნობნი, მათ შემდეგ  
მსხურანი კაცნი და ქალნი. უკელანი ხმა-ამოულებლივ დგე-  
ბიან კედელთან, სახლის პატრონი-კი კითხულობს დაბადები-  
ლან იმ აღილებს, რომელიც შეეხება ქრისტეს დაბადების.  
მერე უკელანი გალობენ შესაფერ ლოცვებს, შემდეგ ურიგე-  
ბენ საჩუქრებს. მერე იწყება მხიარულება, ციკვა, სიმღერა  
და მასპინძლობა. ამ დღისთვის აცხობენ განსაკუთრებულ სა-  
შობოო პურებს, ტკბილ კვერებს და ამზადებენ ტკბილ სა-  
შობოო ლეინოს.

შობის ხის გამართვის წვეულება რუსეთშიაც გაღმოვიდა,  
მაგრამ ბევრი რამ-კი დაჰყარგა, ის შნოება და ლაშათი არია  
იქნა, რაც გერმანიაში. რუსები დახელოვნებულნი არ არიან  
ხელსაქმეში, ამიტომ უმეტეს ნაწილს შობის ხის სამკაულები-  
სას და საჩუქრებს დამზადებულს ყიდულობენ მაღაზიებში, რის  
გამოც მხოლოდ მიბაძვა გამოდის.


მალოროსიაში დარჩენილია ძველებური წვეულება შო-  
ბის დღესასწაულისა. დიდებულად ემზადებიან „წმინდა საღა-



მოს" დასახვედრად. წინა დღეს, ვარსკვლავის ამოსურთა მომავალი არასა სკამენ, ცველგან რეცხენ, ფხეკენ, სწმენდენ, თეთრად ლესვენ ქოხებს. საღამოთი იკრიბებიან სახლში. ოჯახის თავი აკმევს საკმელს, კითხულობს ლოცვებს, მასთან ცველანი სასოებით ლოცვულობენ. შემდეგ დაიწყება საღილი. სმენ საყვარელ ტკბილ სასმელებს და დამტკბარ არაუს, სკამენ აშ დღისთვის საგანგებოდ დამზადებულ საქმელებს: ქარიყლაპია თევზის თავის წვენს, შემწვარ თევზს, კოლიოს თაფლით და „უზვარს“ (ჩირის კამპოტივით არის). შეორე დღეს ჰატარა და მოზღიული ბიკები დაღიან და სახლის სარქმელებთან მღერიან მისალოცავ სასიმღეროებს („ევლადა“), შობა საღამოს დაღიან ვარსკვლავით და გალობენ სამღვთო ლოცვებს. ვარსკვლავს აკეთებენ სქელ ქალალდისას, რომელზედაც ზატავენ სურათებს სამღვთო სჯულის ისტორიისას. ვარსკვლავის შუა ანთია ჰატარა სანთო. ბიკებს შეიწვევენ სახლში და უმისპინძლდებიან „გალუშკებით“, პრიანიკებით; ხანდახან, თუ კარგა შეაქეს სახლის ჰატორნები, ფულსაც იძლევენ.

ელ. ანტონოვსკი





## საზღვარ გარედ

(მოგონებანი და შოაბეჭდილებანი)

ოფელი კოკლავსი, სადაც ვიდექი, გარ შემორტყმული იყო მინდვრებით, ჭალებით და პატარა გორხავებით. მინ-  
დვრები და სახნავ-ხათესი მიწა გაშლილი არ არის, რო-  
გორც ჩვენში. მიწა დაყოფილია და ხის ლობეებითაც არის  
გარს შემორტყმული. ასე რომ მინდვრად რომ სასეირნოდ გას-  
წიოთ, ყაველ ნაბჯზე ლობეს უნდა გადაახტეთ. ჭალებსაც  
აქვთ ლობე შემორტყმული და კარგილაც დაცულია; სამიგრე-  
როდ დიდი ტყე კი არსადა სხინს. ჭალებს იცავენ ნადირობი-  
სათენის. ამ ჭალებში აუარებელი კურდლელი ჰბულობს. ისეთი  
სიმრავლეა ამ კურდლელებისა, რომ ისობით გამოდიან მინდვრად  
და ნადირობის დაწყებამდე არა ფრთხებიან ადამიანის დანა-  
ხეაზედ. მაგრამ დგება შემოდგომა და ვით კურდლელების ბრა-  
ლი! მონადირენი მოდიან ახლო-მახლო ქალაქებიდან. ძევე-  
ლობის აღეძრა ამ სპორტის სურვილი. ქალაქებიდან უხენებით



მოდიან ორმოცი-სამოცი ქილი და კაცი ერთად. განკურებული  
ცხენებზე სხედიან. კაცები წითელ ფრაკებით, ჩეიტუჭებითა  
და ბატფორტებით არიან ჩიამულ-დახურულნი, ქალები გრძელ  
შავ კაბებითა, „ამაზონკას“ რომ ეძინიან. ყველას ხელში გრძე-  
ლი შოლტები უკირავთ. ქალებიდან გამოარევანებენ ხოლმე  
პატარა კურდლლებს, რომელნიც დამტართხალნი მინდვრებს  
მოეფინებიან. აქ კი უხვდებიან მონადირენი „ლელი და ჯენ-  
ტლემენები“ და ცხენ და ცხენვე შოლტებით ჰხოცენ. მიკურ-  
რდა, ამ შელობილ იდგილებში როგორ აქენებდნენ ცხენებს.  
მაგრამ ცხენები ასე ჰყავთ დაჩვეულნი. მიადგება თუ არა ლო-  
ბეს, ზედ ფრინველივით ვადაპურინლება. შორიდან კარგი სანა-  
ხავია. მაგრამ რომ დააკვირდეთ ამ გასართობს, რაღაც ველუ-  
რობის შეამჩნევთ. ქვეითნი მონადირენიც არიან. ესენი ძალ-  
ლების საშუალებით მელიების სოროებს დაეძებენ და თოფე-  
ბითაც ჰხოცენ ამ მელიებს. გარშემო თოფის სროლის გრია-  
ლი და ტკაცა-ტკაცა ისმის.

გიორგობისთვეში ნადირობა თვედება და სოფლის არე-  
მარეს ისევ მყუდროება და დუმილი ეფინება. დღე პატარივ-  
დება. ბურუსი და ნისლი ხშირ-ხშირად ვახვევს ხოლმე ყო-  
ველსავე თავის სავანეში. დღეც ისეთია თითქს ბინდიამ.  
ინგლის გარშემო ზედა არტყია და იმიტომ იცის იქ ბურუსი  
და ჯანლი. სოფელი მიყუჩებულია. მინდვრად აღარ მუშაობენ.  
მუშაობაა ფერმერების სახლ-კარში, სადაც მეურნეობა მრეწვე-  
ლობად არის გადაქცეული და ლონდონში გასისყიდ საქონელს  
აპარატებენ — რძეს, ყველს, კარაქს და სხვას.

მაგრამ ჯანლიან დღეს ლონდონია საინტერესო. ლონ-  
დონში ხშირად დაფილდი. რკინის გზით საით ნახვიერს უნ-  
დებოდი. ერთხელ სწორედ ბურუსიან დღეს მომიხდა იქ წას-  
ვლა. მისტერ მოოდი, რომელზედაც რჩიოდე სიტყვა შქონდა  
უკვე ნათვაომი, რომ არა მყოლოდა თანამგზავრად, თქვენი  
მტერი, მე იქ დავიძნეოდი. მოოდი-კი გამოცდილი კაცი იყო,  
ლონდონში აღზრდოლი და არაფრისა მეფიქრებოდა. მისტერ

მოოდის შესახებ უნდა ვსთქვა, ჩვეულებად პქონდა უჭრედობის სიარული. შეილებსაც უქუდოთ ატარებდა. ლონდონში სა-შუალო სასწავლებელიც იმგვირი, სადაც შეგირდებს პატარა-ობიდანვე უქუდოთ სიარულს აჩვევენ. ამ სასწავლებლის ეზო-ზე რამდენჯერმე გამიყლია და მართლაც მინახავს, რომ შე-გირდები ზამთარშიაც უქუდოთ დაიარებოდნენ.

ჯანლიან დღეს რომ მიველით ლონდონში, ასეთი გრძნობა შქონდა, თითქოს სადღაც ქვესკელში ჩაედევრით, საცა სი-ბნელეს და გულშემატებაზე ბინდს ელექტრონის და გაზის სინა-თლით ებრძოდნენ. სიბნელე ისეთია, რომ ორ ნაბიჯზე აღ-რა სჩინს რა. საკვირველი ის არის, რომ ამ წყვდიადში ისევ ის უზარმაზარი მიმოსვლაა ომნიბუსებისა, „ბლანქირებისა“, (დროგებისა), „თრებებისა“ (ეტლებისა) და ისევ ის ზღვა მო-ძრობაა აღამიანთა უთველიავ გროვისა. მითხრეს, ამისთანა დარში ბევრნი ბრძების საშუალებით დადიანო. შესაძლებე-ლია, რაღაც ბრძის თუ კირვიდ შესწავლილი აქვს გზა, სი-ბნელე ხელს ვერ შეუშლის, რაღაც ბრძის ყოფა ხომ სიბ-ნელეში ყოფაა.

ლონდონი უფრო ახლო გავიცანი. საკვირველი ქვეყანაა ინგლისი. განათლებულიცა, დაწინაურებულიც. სხვა სახელ-მწიფოებს გვერდში უდაბ კულტურით. მაგრამ ვერსაც ვერ იპოვნით ძველ ცხოვრების იმდენ ნარჩენს, როგორც სწორედ ამ ქვეყანაში. ბევრია დარჩენილი ძველი ჩვეულება. ამ ჩვეუ-ლებას წინად პქონი თვეისი აზრი, ახლო-კი უშინაარსო ფო-რმად გამხდარი. ხალხი-კი მინც ებლაუქება და არ ივიწყებს. ძველია, მაგალითად, თვითმშეკრიბელ მეფებსა და საშუალო საუკუნეებში აღორძინებულ ქალაქებ შორის მუდმივი ბრძო-ლი იყო. ეს ბრძოლი გათვალი ქალაქების გამარჯვებით. მე-ფეთა უფლება შეიზრულდა. და, წარმოიდგინეთ, ლონდონს დღესაც არ დაჰვიწყებია ეს გარემოება. მისი ცენტრალურ ნა-წილის—სიტერის—აღმინისტრაცია სამსახურში შესელის დროს ფიცს იძლევა, რომ არ უღილატებ ქალაქის თავისუფლებას



და ყოველთვის მისი მცველი ვიქნებით. იმიց სიტუაციაში მოედანზე ძველი დღის ვარ და დარჩენილია ერთგვარი თაღიანი ვარები. ყოველწლივ ამ კარებთან იმართება, აუარებელ ხელხის თან დღისწერებით, ცერემონია. ერთის მხრივ სადღესასწაულო ეტლით დიდის ამაღის თანხლებით მოდის მეფის წარმომადგენელი, მეორეს მხრივ ეგებება ლონდონის ლორდ-მერი (მოურავი). და, რაღაც ფიცის თუ მოლაპარაკების შემდეგ, მეფის წარმომადგენელს ლორდ-მერი უფლებას აძლევს შემოვიდეს ამ კარებში და შესდგას ფეხი სიტუის ტერიტორიაზედ. ძველ დროში ყოველივე ეს ნამდვილად ჰერცოგდა. როცა მეფობის ძალა შესუსტდა, მან ქედი მოიხსინა გალავებულ ქალაქის წინაშე. მაგრამ ყოველისავე ამას ამ გამიდ არავითარი აზრი არა აქვს. ინგლისის მეფეები კონსტიტუციის აღარ ემუქრებიან, პირიქით თავიანთ ძალას კონსტიტუციის გამტკიცებაზედ იმყარებენ. მაგრამ ჩვეულება მაინც დარჩენილი და მის გაუქმებისათვის არაერთ ჰქონებავს. და უნდა ვსოდე, ინგლისის სახოგოლოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება სავსეა ამგვარ ნაზოვის ცხოვრელმყოფელობით.


ომნიბუსის მიღლივ სართულში რომ ჩიჯდეთ და ლონ-დონის ომისავლეთ ნაწილიდან (ოსტენდი) დასავლეთისაკენ (კესტენდი) რომ ჩინარით, დაინახავთ, რომ იმ უზარმაზარ ქალაქში თრი დიდი სამეფოა მოთვესებული. ერთია სამეფო სილარიბისა, სილატაკისა და უბელურებისა. მეორეა სამეფო სიმდიდრისა, ძლევა-მოსილობისა და ფუფუნებისა და თრივე სამეფო სულ აღლო არიან ერთმანეთზე, თითქმის ზედიშედ მიკრული. არსად მინახევს ისეთი ჯარი-ჯამაათი უსაქმოდ მოხეტიალე ხალხისა, დაფხრეწილ-დაფულეთილ აღმიანთა აჩრდილებისა, როგორც ლონდონის ოსტენდიში შემხედრია. „ფაზლიკ-საუზების“ (ტრაქტრების) „პარეგის“ (საარყე დუქნების) და დიდ ქუჩების კუთხეებთან ბუზივით ირევა უცნაური, დაღურემილი და პირ-ქუში ხალხი. გვერდით თუ გაუარეთ და ხელშიაც თუ გიკირავთ პატარი საკვიპიფი, ერთ-ერთი უხ-


თუოდ აგედევნება. საკვოიაეს მე წამოგილებო და ერთ პეტსს მაჩუქებო. ამ ხალხში ქალიც ბევრია. ჩალის ქუდებით ბებერი თუ ახალგაზდა „ბარებს“ (დუქნებს) დასტრიალებენ. მთვრალი ქალი ბევრი მინახავს ლონდონის ქუჩებში.

საიდან მოდის ეს უთვალიავი ხალხი? რად დაიარება შშიერ-მწყურევალი და რა მიზეზი, რომ ციფილიზაციის ცენტრში ასეთი უსამართლობა და ბარბაროსობა არსებობს? ძალიან რთული საგანია და მის გარკვევას აქ ვერ ჟეუდგებით. მოკლედ-კი უნდა ესთქვათ, მახლობელი მიზეზი ამ მოკლენისა ის არის, რომ დიდ მექანიზნებს შორის დიდი ქიშ-პობაა განიღებული. ერთი ცდილობს შეორეს ორმო გაუთხაროს. წირმოების გასაადგილებლად მეცნიერებს ამუშავებენ. გამოიგონინებენ რაიმე მანქანის, რომელიც განსაზღვრულ დროს მეტს სამუშაოს ასრულებს, ვიდრე მეზობლის ქარხანაში. ამით ქარხნის პატრონი გამარჯვებულია. ბევრი მუშა აღარ ესაჭიროება. მანქანა გასწევს მათს მაგიერობას. ხარჯს ერთი ორიდ ამცირებს. მეზობელი-კი ვერ ასდის ხარჯს. ქიშ-პობას ვერ უძლებს და ჰკეტიას ქარხნის. ისე რჩება უსაქმიდ აუარებელი ხალხი, რომელიც წინად ქარხნით იკვებებოდა. და დიდ ქალაქში მუშაობის მიზებელი ადამიანი მეტია, ვიდრე სამუშაო ამ ქალაქში, ისე რომ, ამ უნდა გვიკვირდეს, თუ ექვს მილიონ მცხოვრებში დიდი რიცხვია უმუშობად და-რჩენილებისა, მაწანწალებისა, მათხოვრებისა, ლოთებისა, ქურ-დებისა და ივაზიკებისა.

არჩილ ჯორჯაძე


(შემდეგი იქნება)





## პაერის დამორჩილება

(გ. სომოვით)



ერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე კაცობრითა სცდილობდა მოეგონა იმ გვარი შანქანა, რომლითაც შესხდლო ყოფილიყო ადამიანისათვის ჰაერში ფრენა. იმ დროსაც ფიქტურობრნენ მომგონელნი, რომ ეს შანქანები უნდა ჰგვანდეს ფრინველის ფრთებსათ.

ძველ და განსაკუთრებით შეკვეთით ისტორიაში ცნობილია მრავალი ცდა სხვა და სხვა გვარ ფრთიან შანქანით ფრენისა, მაგრამ, როგორც ვიცით, ყველა ეს ცდა მარცხით თავდებოდა; არა ერთი და ორი გამბედავი მფრინავი ვამოსოთხოვებია ამ წუთი-სოფელს თამიშისა და გაბედულის ცდისათვის, იქნებ მოვისრშით ჰაერი და შევძლო ხელოვნურ ფრთებით ფრენათ.

ის მიზეზები, რომელიც ხელს უშლიდა მომგონელი ჰაერის მთარმიებას და ცაში ფრენას, ჩვენთვის, მეოცე საუკუნის მცხოვრებთათვის, ახლა ცხადია და აღვილი გასაგები. ერთი,—




რომ იმ დროს სრულიად არა ესმოდათ-რა შექანკისა, უმცირესი მარტინი და უმთავრესი ის არის, რომ გარდაწყვეტით არა იყოდნენ-რა ფრინველთა ფრენისა, ესე იგი ჰქონდათ ბუნდოვანი წარმო-დგენა იმისი, რასაც პბაძავდნენ თავიანთ მანქანებით.

მერე, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, როდესაც მო-  
გონეს ჰაერის ბურთი, ჰაერში მფრინავთა (ავიატორთა) ყუ-  
რადლება იმას მიეკურო, რომ გაეუმჯობესებინათ ეს ბურთი  
და შეექმნათ იმ გვარი ტიპი ამ ბურთისა, რომლის მიმო-  
ვლა ჰაერში ადამიანის სურვილზე ყოფილიყო დამყარებული.  
ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ მხრივ ავიატორებმა ბევრი  
რამ გააკვთეს. ახლა უკვე მოგონილია იმ გვარი ბურთე-  
ბი, რომელთ მიმოსვლა ჰაერში ადამიანის სურვილზეა და-  
მოკიდებული. ამ გვარ ბურთებს უწოდებენ სახელიად ჰაერის-  
ტატებს ანუ დირიქაბლებს.

ამ დირიქაბლებით ადამიანს შეუძლიან აფრინდეს ჰაერ-  
ში, გასწიოს იქით, საითაც სწავლიან, ჩამოეშვას ძირს იქ, ხა-  
დაც სურს, მაგრამ ამ გვარ ჰაერის ბურთებს და მათ შორის  
გრაფ ცეკველინის ჰაერისტატსაც ყველა თავის ლირსებასთან  
დიდი ნაკლულევანებაცა აქვს; ეს ნაკლულევანებანი იმდენად  
დიდი და შესამჩნევია, რომ ამ ეამაზ ყველანი უფრო გატა-  
ცებით ფიქრობენ ფრთხებიან საფრენ მანქანებისა, ანუ ჰაერო-  
ჰლანებს, გამოყენებისა ვიდრე ჰაერისტატებისათ.

აქ არ განვაგრძობთ სიტყვას და არას ვიტყვით იმისას  
თუ რა ტიპის საფრენი მანქანები გაიმარჯვებს მოგვალში.  
აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ორ უკანასკნელ წლის გან-  
მვლობაში საყოველთაო ყურადღება მიიჭირა სხვა და სხვა  
გვარის ჰაეროჰლანბა. დღე არ გაიკლის, რომ გაზეთებმა ახა-  
ლი რამ არ მოგვიტანოს ამ საჰაერო მანქანების შესახები.  
ყველა მომგონებელი სკლიობს გათავსებელს საფრენი აპპა-  
რატები და საესებით მიაღწიოს წადილს. ამ ორი — სამი წლის  
განმავლობაში იმდენი რამ არის მოგონილი და შესწავლუ-  
ლი, იმდენად წინ წაუწევია საქმეს, რომ ყოვლად შეუძლე-

ბელია არ დაეიჯეროთ, რომ კაცობრიობა, დღეს თუ არა, შეიძლ  
მაინც უთვლიდ დაიპყრობს და დაიმორჩილებს ჰერხს.



პლანს. თუმცა აპპარატი სულ უბრალო და მარტივი გადასახლებისა იყო, ლილიენტალმა მთინც დიდი საქმე ჰქვდნა.



სწორედ რომ ვთქვათ, ეგ თუ ფრთა ის იყო, რასაც იკონებდნენ შეა საუკუნის მომგონებელნი. თავიანთ მანქანებით ისინი ჰქაძავდნენ ფრინველებს. ლილიენტალის სურველიც ეს იყო. მხოლოდ მეორეს მხრიდან შეუდგა საქმეს. ხანძ ააგებდა თავის პირველ ჰაეროპლანს, თუის წლის განმავლობაში უკაირდებოდა ფრინველების ფრენას და სწავლობდა ფრენის გოთარებას. ამის გამო, როდესაც აშენებდა თავის ჰაეროპლანს, კარგიდ ჰქონდა გათვალისწინებული, როგორ უნდა მიეღწია თავის საწადელისთვის. საწადელი მისიკი სრულიად უბრალო იყო; უნდოდა მიებაძა ფრინველების ირთვსთვის, ესე იგი იმ გვარ ფრენისათვის, როდესაც ფრინველი ფრთებს არ აქნევს ჰაერში. ამ აზრის განსახორციელებლად ლილიენტალი მოისხვდა ზურგზე ფრთებს, ჩამოიჩნდენდა გორჩავიდან და ცდილობდა, პირ-ქარის მიუხედავად, ჰაერში ფრენას. თავდაპირველად ლილიენტალი ვერ ახერხებდა ორის საექნის მანძილის მეტზე ფრენას, მაგრამ მერე და მერე, ბევრის ცდის შემდეგ, 100 საექნზედ მესაც ფრინვედა. ლილიენტალი იჯდა თავის ტრაპეციაზე, სხვა და სხვა

ნიორიად. ათამაშებდა ფეხებს და ტანს, და ამ რაგოდ მაჟის  
ჰეროპლანი მიშეყდა იქით, საითაც სურდა, მაგრამ, როდე-  
საც ფეხებს გაშლილა წინ და წელში გადაიზნებოდა უკან,  
ფრთხობის წინა ნაწილი იწეროდა ზემოდ, უკანა და შევებოდა.  
ამის გამო ძრიელ პირ-ქარის დროს ჰეროპლანი მაღლა ადი-  
ოდა; როდესაც გადაიხრებოდა მარჯვნივ და ფეხებსაც მარ-  
ჯვნივ გააშვერდა, ავთარატიც მარჯვენა მიმართულებას მიი-  
ღებდა. ხუთის წლის განმავლობაში ლილიენტალი სულ იმის  
ფიქრში იყო, მოეგონა იმ გვარი ფორმის ფრთხი, რომელთა  
საშუალებით შესაძლო ყოფილიყო, რაც შეიძლება, მეტს ხანს  
გაჩერება ჰერში. ბოლოს დროს ლილიენტალმა გადასწყვიტა  
თავის ავთარატისათვის მოება მატორი და ვინტი. სამწუხაროდ,  
ეს აზრი ვეღიარ ვანახორციელა. 9 ივნის 1896 წ. ჰერში  
მფრინავი ძლიერ ქარის დროს ჩიმოვარდა 5 საეგნის სიმილ-  
ლიდან და დაშავდა სასიკვდალოდ. საჭმე ის არის, რომ ლი-  
ლიენტალი არ იყო პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი ადა-  
მიანის კუდაში ჰერის დასაპურობად!

პირველ შეხედვით შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, რომ  
ლილიენტალის ცდას და მის შედეგს მაინც და მაინც თვალ-  
საჩინო მნიშვნელობა არა იქვსო; მაგრამ ამ გვარი წარმო-  
დგენა ნამეტნავიდ ცალმხრივი იქნება. ლილიენტალის ცდანი  
სიძირკველი იყო შემდეგთა მომგონებელთათვის. ახლა, რო-  
დესაც მოგონებულია მრავალი სხვა და სხვა სისტემის ჰერი-  
პლანი, ლილიენტალის შრომა და ცდა ლირსეულადაა დაფა-  
სებული და ეს ავიატორი სამართლიანად ითვლება პირველ  
ჰეროპლანის მომგონებელად.

ახვლედიანი

† შემდეგი იქნება)



# მარჯორ უარდროპი

 უკარესტში მოულოდნელად გარდაიცვალა ჯერ კიდევ ძალ-ლონით საესე და ზრომით გატაცებული მარჯორი უარდროპი. ბროსეს გრამატიკისა და ლექსიკონის შემწეობით ქართული ენა ზედმიწევნით შეისწავლა. პირველად ინგლისელმა ქალმა „ივერიიში“ დასტამბა წერილი, რომელმაც დიდი განცვიფრება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. შემდეგ მარჯორ უარდროპი დედ-მამით და თავის ორის ძმით ეწვია საქართველოს 1894 წელს. ცველა კუთხე საქართველოსი მოიარეს, ალტაცებულნი იყენენ ბუნების სიღიადით და მშვენიერებით. მაშინ ჩიენერგი გულში მარჯორ უარდროპს ღრმის სიყვარული ჩვენის ქვეყნისა. მარჯორ უარდროპი და მისი უფროსი ძმა ოლივერი—კონსული და ავტორი თხზულებისა „საქართველოს სამეფო“, სადაც უნდა ყოფილიყვნენ, მაინც თავისით მეორე სამშობლოდ სოვლიდნენ საქართველოს და გაფაციცებით თვალყურებული და დევნებდნენ ჩვენს ცხოვრებას, რადგან ყოველი ქართული გაზეთი და ეურნალი მისდიოდათ. მარ-





ଜମା ଯୁଦ୍ଧକାଳରେ ଏହି ପାରିଶାଦ ଶ୍ରେଷ୍ଠାଵଳୀ କ୍ଷେତ୍ରରେ ଆଗ୍ରହୀତାକୁହାରୀ  
ରୀତା ଦା ବସ୍ତୁରୀରୀତା, କାମିତିନ୍ଦ୍ରିୟରୀତାରେ ଲୋକ୍ସାଧ ଗାଢାବିତାରୀତିରେ  
”ପାନଦେଖିଲୁଣି” ପଣୀର ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି, ଫର୍ମାତୁଳି ନେବାପର୍ବତୀରେ ଦା  
”ଫିନିନଦା ନିନିରେ ପ୍ରଥମରେବା” ଦା ନେବା... ଓ ଦେଲାରେ ଦରିବେ ଦିନରେ  
ଦିନରେ ଦେଖିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣିରେ ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି  
ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି...“ ବାହୁଦାରୀ ଏହି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ମୁଖରୀଦିଲୁଣି ଦା ଦା ଦିନ,  
ମଧ୍ୟାହ୍ନ ଦିନରେ ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି  
ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି...”

ନାମଦେଖିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ମେଘବିଦୀରୀ ଦାକିପାରିଶା କ୍ଷେତ୍ରରେ ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି  
ଦିନରେ ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି, କାମିତିନ୍ଦ୍ରିୟରୀତା ଫର୍ମାତୁଳି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ନାନାରୀରେ ମିଳି  
ମିଳି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି ପାନକାଙ୍ଗଦିଲୁଣି

ପ. ଭ.



# მითოლოგია

თრიალის ობი

აქილევხის პასუხი

**ქილევხის მეტად ჩაითვიქრა ოდისევსის სიტყვის ელლინთა ბანაკში დაბრუნების შესახებ. ძლევა-მოსილი გმირი დიდხანს იჯდა ხმა ამოულებლივ და მწუხარედ თვით ხელზედ დაყურდნო. ხანგრძლივ დუმილის შემდეგ, აქილევსმა ასე უპასუხა აქაველთა მოციქულს ოდისევს და მის ამხანაგებს: „ლიოტრევსის დიდებულო შეილო, დიდად დახელოვნებულო და გამოცდილო ოდისევს. გულაბდით მოვახსენებ ყველაფერს, რასაც კი გული ჩემი ნამდვილად ჰგრძნობს. განი საკადრისია, კაცი ერთს ჰერქობდეს და სულ სხვეს ლაპარაკობდეს! ჰირივით მეზარება, კიდევაც მეზიზლება ასეთი თარიღი კაცი. მაში, მომისმინე, კეთილშობილო და დიდად დახელოვნებულო ოდისევს, ყოველივე ის, რაც ჩემის გულის ნადებია, რაც ჩემს შეურყეველ აზრსა და რწმენას შეადგენს. დარწმუნებული უნდა იყო, დიდად პატივცემულო სტუმარო, რომ ვერავინ ვერ შემიცვლის ამ ჩემს ღრმა რწმენას და აზრს. ვერც აგამემნონი და ვერც ელლინთა რომელიმე გმირი ვერ მომილბობს გულს, ვერ შემიცვლის ჩემს შეურყეველ აზრს და ვერ დამაბრუნებს ელლინთა ბანაკში ტრიადელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ვინც შრომობს განუწყვეტლივ დღე და ღამე, ვინც თავ-დაუზოგველად მტერს ებრძვის უკანასკნელის სულის ამოსუნთქვამის, იმას აგამემნონი ღირსეულად ვერ აფასებს და, ვონებს,**



არც უნდა დააფასოს. მხდალი ვინმე მეობარი და მაშინ გამოიწვევა  
 რი აგამემნონის, თვალში სულ ერთია, ორივეს იგი ერთგვა-  
 რის პატივის ცემით ეპყრობა. რამდენი შეიობა და გაქირვე-  
 ბა გამიწევით აქაველებისათვის! რამდენი ღამე გამიტებია, რამ-  
 დენი შიში და ვაი-ვაგლახი ამიტანია მოსისხლე მტერთან შე-  
 ბრძოლების დროს! განა ენით შესაძლებელია კაცმა ვამსია-  
 ქვას ყველა ის, რაც მე თავს გადამხედია ტროადელების სა-  
 წინააღმდეგო ომში! ნუ თუ აქაველების მთავარ-სარდალი  
 ვერა გრძნობს, რომ თავდაციწყებით ვიბრძოდი მოსისხლე  
 მტრის წინააღმდეგ! ჩემს თავ-განწირულებას და სიმიმაცეს  
 მტრებიც კი უარს ვერა ჰყოფენ! ჩემის სარდლობით თერთ-  
 მეტი ქალაქი ხომალდებიდან გაეინადგურე, მიწისთან გაეს-  
 წორე, თერთმეტი ქალაქი კი ქვეითის ჯარით ავიკელი და  
 უთვალავი ნადავლი დავინარჩუნე. ნადავლის უმეტესი ნაწილი  
 აქაველების მთავარ-სარდალს დაუთმე, მე თვითონ კი სულ  
 მცირედი ნაწილი ნადავლისა დავინარჩუნე. ჩემი ერთად ერ-  
 თი სწრაფვა სულისა ჩეენის ხერთო სამშობლოს დიდება და  
 ლირსეულის სახელის მოხვეჭა იყო; მე სულ იმ აზრისა ვი-  
 ყვი, რომ თვითონელლი ჩეენთავანი უკანასკნელ სულის მო-  
 სუნთქვამდის თავის სამშობლოს კეთილ-დღეობას და ბედ-  
 ნიერებას უნდა ემსახურებოდეს. გარეშე ისეთის აზრისა სხვა-  
 ფრივ მოქმედება შეუძლებლად მიმარცდა. სამწუხაროდ, ისე-  
 თი ჩემი ღრმა რწმენა თვით აგამემნონმა ულირსად შექმ-  
 ლალა, შეირყია. აქაველთა მთავარ-სარდალი არ და ემაუ-  
 ფილდა უთვალავის ნადავლით, რომელიც დიდის სიმოვ-  
 ნებით დაუთმე. იმდენად ვაკანიერდა, რომ ძალატანებით  
 მომტაცა ჩემთვის უძვირფასესი ახალგაზდა ქალი ბრიზე-  
 ისი დაიღ, აქაველების მთავარ-სარდალმა ძალმომრებობა ის-  
 მარა ჩემზედ; უსამართლოდ და უსირცხვილოდ მომექცა.  
 ძრიელ კარგიდ ვიცნობ აგამემნონს, ვიცი, რა ნამუსის და  
 სკინიდისის კაცია! ერთხელ მომატყულა, შეურაცხყოფა მო-  
 მაყენა და შემდეგისათვის ვცდილობ თავი არ მოვიტყულო

და შეურაცხუოფა არ განვიცხოთ. დე, იგამემნონჩამის მითოლოგია  
ლონებს მიპაროთოს, სხვა ვინმე მამაცი გმირი მიიწვიოს ჰექ-  
ტორის საწინააღმდეგოდ და მით დაიხსნას აქაველთა ხომალ-  
დები განადგურებისაგან. მე მხოლოდ იმის ვიტყვი, რომ,  
სანამ აქაველების რაზმთა შორის მოსისხლე მტერს მედ-  
გრად უმკლავდებოდა, ტროადელების მთავარ-სარდალი ჰექ-  
ტორი სკეის ბჭის კარების მოცილებას ვერა ჰპედავდა. ამიე-  
რიდან უნდა იყოდეთ, რომ ჰექტორის წინააღმდეგ არ გა-  
ვილაშქრებ.

ხვალ დილით, თუ ლმერთებმა ინებეს და ჯანშედა ვარ,  
ჩემს ხომალდებს დავტვირთავ და სამის დღის შემდეგ სამშო-  
ბლოს ნაპირებად მივაცურებ. იგამემნონისაგან საჩუქრებს არ  
მივიღებ; მისგან საჩუქრების მიღება სამარცხვინოდაც მიმა-  
ჩნია. აქაველების მთავარ-სარდლის ქალი არასოდეს არ შევი-  
რთავ, თუნდა რომ აფრიკულიტა ქალლმერთხედ ულამზესი იყოს.  
მადლობა ლმერთებს, ელლადიში მრავალი ლამაზი ქალია და,  
თუ ოდესმე ცოლის შერთვა მოფისურევ, ჩემი მშობლები  
იშვიათ ლაშაზ შეუძლეს მომიძებნიან. აქაველთა რაზმების  
ყველა სარდლებს ურჩევ სამშობლოში დაბრუნდნენ, რადგან  
ილიონის ზღუდეთა დანგრევა არც ისე ადვილი საქმეა, რო-  
გორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ილიონსა და ტროადელების  
მხედრობას თვით ლმერთების მამათმთავარი ზევსი უწევს მფა-  
რველობას და ამიტომ ელლინთა მხედრობის ყოველი ცდა  
და მხნეობა უნაყოფოდ ჩაივლის, ტროადელები თავისის ვა-  
ტანენ და აქაველთა ოდესმაც ძლევა-მოსილი მხედრობა სა-  
მუდაშოდ სირცხვილში იქნება. ყოველ შემთხვევაში, დიდად  
ჰატრიცემულო თდისევს, საბოლოოდ გადაწყვეტილი მაქვს  
ტროადელების საწინააღმდეგო ომში მონაწილეობა არ მივი-  
ლო და ეს ჩემი გადაწყვეტილება გადაეცით აქაველთა რაზ-  
მების სარდლებს. დიდ, ასეთია ჩემი ლრმა და შეურყმველი  
რწმენა, ხოლო, თუ ეს ჩემი რწმენა შეეცვალე, ამას მაიძუ-



### ၃. မေဂျာပို့ရန်




## რ ე პ უ ს ტ

(ლ. კარბელაშვილის-მიერ)



დე



{ თეთრის  
მოწინა-  
ომდეგები },




{ კაპისი  
ანუ? }, უ

{ ვაჟი  
შეილი }, "



"

୩, ୨ ଟଙ୍କା



„ ଟଙ୍କା



„ ଟଙ୍କା


ଟଙ୍କା



ଟଙ୍କା



ଟଙ୍କା



ଟ 100, ଟ

୧୦-୧୨ ନଂ-୩୦ ଅନୁତାବେଶିତରେ ଖର୍ଚୁଣେ ଆବଶ୍ୟକ:  
ପ୍ରସ୍ତରା ତାପିକାରୀ କିମ୍ବା ମେନାକିର୍ରେ ପ୍ରସ୍ତରାନ୍ତକାରୀ।

# შიდა 1909 წლის ნაკადულის

ლ მ ძ ხ ე ბ ი

ა. ევფრატის:

ბულბული	—V
მთიბავის სიმღერა	—VI

ღ. ედოზიშვილის:

კვლავ გაბრწყინ და	—II
ქრისტე აღსდგა მაცხოვარი	—III
შერცხლის სიმღერა	—IV
გაზაფხულის მოლოდინში	—V

ა. შანშაშვილის:

გაუმაძლარი დათეი, —იგავ-არაკი	—III
ვირი, —იგავ-არაკი	—IV

ვაჟმ-ფშაველას:

საახალწლო სიმღერა	I
საწყალის კაცის ველრება, —(შორ-ნიორი)	VIII
იმიო ომი	IX
ობოლი	XI
საშობაო ზღაპარი	XII

ქ. მდგირელის:

საახალწლო შეთველა	I
ვარდის ბუჩქი	XI

აკაკის:

ნასესხები	II
-----------	----

ღურუ შეგრებისა:

ჩიტი	VII
------	-----

ახომისირელისა:

სოფლიად	VII
---------	-----

ბაჩანისი:

მგლის ცრემლები	IX
----------------	----

ტევიტისა:

ვით თავით ბუნება — ისიც ისე ნელა ცხრებოდა, (ლექსი პროზად).	VI
---	----

ღ. თამაშელისა:

ალდგომა	III
ყრმის	X

თურდოსიმირელისა:

გაზაფხული	IV
-----------	----

მ. დედაშვილის:	
თამარის გვირგვინი, — (ისტორიული შემეცნებაში რეალურობა ასამშისა):	
ყვავილი . . . . .	—VII
დაღმ ქართველის:	
ნაკადული . . . . .	—VII
<b>ა ღ თ ხ რ ბ ი ბ ი</b>	
ვაჭა-ფშაველასი:	
ახალი წელი ფშავეში . . . . .	—I
დიდებული საჩუქარი . . . . .	—II
„ „ (გაგრძელება) . . . . .	—III
„ „ „ „ . . . . .	—IV
„ „ „ „ . . . . .	—V
ძალმა ციკანი მოიგო . . . . .	—VII
როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე? . . . . .	—IX
ა. ევდოშვილისა:	
რთველი . . . . .	—X
რად მიყვარს ალაზანი . . . . .	—XI
თ. რაზეკაშვილი:	
სამჭედლო ში . . . . .	—I
ნინო ხაკაშვილი	
პასუხად პატარი მებრეს . . . . .	—II
საჩუქარი . . . . .	—XII
თ. ქანდელაქისა:	
თოვლის ფიფქების თავგადასავალი . . . . .	—IV
უცხო და თავისიანი, — (იგავი) . . . . .	—V
უკანასკნელი დღე, — (აღმოსავლეთის თქმულება რუსულით) . . . . .	—V
ორი გმირი, — (თარგმანი) . . . . .	—VIII
სიკვდილის ნიშანი, — (რუსულით) . . . . .	—XI
ბაჩანასი:	
მონადირე და ყორნები . . . . .	—VII
ა. მაჩაბლისა:	
ბებია კაკალი . . . . .	—IX
ცეკვის:	
კრისალის გმინვა . . . . .	—I
ახალი წელი მოწამე იყოს . . . . .	—I
შეშლილი, — (საალდგომო მოთხრობა) . . . . .	—III
ნაგვიანევი ზიზილა . . . . .	—III



დატუვეებული ტორთლა	—IV
განკურნებული	—VIII
გაბლოს ქორწინება	—XI
აფანედისა:	
კურდლის ნამბობი	—II
ყვავის საჩივარი	—III
ბუ	—IV
ბულბულის ამონაკვნესი.	—V
ანასტასია ერთსოთავისა:	
ლუკმა პურისთვის	—XII
გოორგისა:	
ობოლი სოსია	—VI
განდეგბალისა:	
ნიკადული, — (თარგმანი)	—IV
ესკიმოსის დედაკაცი, — (თარგმანი)	—V
თ. საძალიაშვილისა:	
ზარები გუგუნებენ, — (თარგმანი)	—III
თ. ბ—სა:	
საშინელი შემთხვევა, — (თარგმანი)	—IX
გ. ნამორაძისა:	
მდევრი ეგოისტი, — (თარგმანი)	—VIII
გ. ბ—ისა:	
ურია, — (მაჩტეტისა)	—VI
(დასასრული)	—VII
• ისტორიული მოთხოვები:	
თ. ბაქრაძისა:	
ნაპოლეონ ბონაპარტი, — (თარგმანი)	—I
" " ("შემდეგი)	—II
" " "	—III
" " "	—IV
" " "	—V
გლ. ანტონიავსკისა:	
მადლიერი ლომი, (ისტორიული თქმულება (თარ.)	—I
" " (დასასრული)	—II
დ. ღაფაძისა:	
წვ. ვერონიკას ჩადრი, — (თარგმანი)	—VII
" " (დასასრული)	—X



୨୧୪୦ରେଣ୍ଟକରି ଚମକିଲାହାର

୧. ଶତଶ୍ରୀଷୁଦ୍ଧିବଳିକା:	ସାହିତ୍ୟବିଭାଗ
ସିନାତଳ୍ପ୍ର ଓ ମିଳି ମନୀଶ୍ଵରନ୍ଦିନୀ . . . . .	-I
" (ବ୍ୟାଖ୍ୟାନିକା)	-II
" (ଶ୍ରେମଦ୍ଦୟଗ୍ରହି) . . . . .	-IV
" "	-V
" "	-VI
" "	-VII
" "	-VIII
" "	-IX
ଜ୍ଞ. ଅନ୍ତର୍ଦ୍ରଷ୍ଟକାଳିକା:	
ଏବନତିକେ ଅମ୍ବାରୀ,— (ତାର୍କଗମାନି) . . . . .	-II
" " (ଶ୍ରେମଦ୍ଦୟଗ୍ରହି) . . . . .	-III
" " (ଫାସାଦଶ୍ରୀଲାଲି) . . . . .	-IV
କ୍ର. ଦ—ଶା:	
ମିଳିଲ ଦ୍ୱାରା . . . . .	- X
ଦ୍ୱାନ୍ତର୍ଦ୍ଵୟାକାଳିକା:	
ଯାର୍ଥନ୍ତର୍ମୂଳି (ତାର୍କଗମାନି) . . . . .	-VIII
" (ଶ୍ରେମଦ୍ଦୟଗ୍ରହି) . . . . .	-IV
" (ଫାସାଦଶ୍ରୀଲାଲି) . . . . .	-X
ଅନ୍ତର୍ଦ୍ଵୟାକାଳିକା:	
କ୍ରିପ୍ତ ମାନ୍ଦ୍ରାମାରାଣିକା, ତର୍ଜୁ କ୍ରିପ୍ତ ଗାନ୍ଧିରାଣି . . . . .	- XI
କ୍ର. ପ୍ରେସାରିକା:	
ଜ୍ଞାତୀୟାରୀ ଓ ମିଳି ପ୍ରଥମର୍ଗଦା . . . . .	- III
" " (ଶ୍ରେମଦ୍ଦୟଗ୍ରହି) . . . . .	-IV
" " " . . . . .	-VII
" " " . . . . .	-VIII
" " " . . . . .	-IX
" " " . . . . .	-XI
" " " . . . . .	-XII
୩ ଲ ୧ ୩ ୬ ୨ ୧ ୧ ୦	
ତାର୍କଗମାନି ଦ୍ୱାନ୍ତର୍ଦ୍ଵୟାକାଳିକା:	
ଶ୍ରେମିଲ ଯାର୍ଥନ୍ତର୍ମୂଳାବ୍ୟାକାଳି,— (ମ୍ରଦ୍ଗାର ଶ୍ରୀମଦ୍ଦୟଗ୍ରହି ଶିଳାପୀଳି) . . . . .	
ଶାନ୍ତାଶାନ୍ତିକା:	
ଅମିଳିତାନିନ୍ଦା ଓ ଅମିଲ ଶ୍ରୀରାମି, — (ଶ୍ରେମଦ୍ଦୟଗ୍ରହି ଶିଳାପୀଳି) — X	
ତାର୍କଗମାନି ଦ୍ୱାନ୍ତର୍ଦ୍ଵୟାକାଳିକା:	
ତ୍ୟତରୀଳ ପ୍ରାଣିକା . . . . .	- XI
" " (ଫାସାଦଶ୍ରୀଲାଲି) . . . . .	- XX

ლ ე ზ ი ნ დ ე ბ ი

ა. კლიაჭასი:

ლეგენდა, — (საბერძნეთის ძევლი თქმულება) . . . . . საზოგადოებრივი

თ. ღომაურისა:

უკანასკნელი რაინდი ალტენარი, — (რეინელი ლეგენდა)

მ ი თ ი ლ ი ზ ი ა

ა. შიჭაბურიძისა:

ტრიადის ომი. — დიომიდეს და ფიცის გამტეხელის  
პინდარისის შებრძოლება . . . . . — I

“ ” ” . . . . . — II

“ ” (შემდეგი) . . . . . — III

“ ჰერა და ათინა ქილმერთნი ელლინთა  
შპრიანებელის დასახმარებლად მიეჩარებიან . . . . . IV

“ არესის ლმერთის დაჭრა . . . . . — V

“ ჰეკტორის ბრძოლის ველიდან დაბრუ-  
ნება . . . . . — VI

“ ჰეკტორი გამოეთხვეთ ანდრომახეს . . . . . — VII

“ ჰეკტორის და იაინტეს შებრძოლება . . . . . — VIII

“ ერთის დღით ზაფი დახოცილ მეომართა

პატივისაცემლად . . . . . — IX

“ ომის განახლება და ტრიადელების გამარ-  
ჯვება . . . . . — X

“ თათბირი აქეველთა ბანაქში . . . . . — XI

“ მოციქულების აქილევსთან წისვლა . . . . . — XII

ნ ი ა რ ი ლ ი ზ ი ა

ა. შ—ისა:

ირაკლი ბაქრაძე . . . . . — I

მ. დ—სი:

კლადიმერ ბერინის ძე ლორთქიფანიძე . . . . . — VIII

ზამოსხენილ კაცმაბის ცხოვრება

ვ—სა:

აკაკის 50 წლის დღესასწაული . . . . . — I

Х—სა:

ნატო გამუნია . . . . . — XII

ა. ხ—სა:

ნიკოლოვის ბარათაშვილი . . . . . — VII

ა. კლიაჭასი:

ეგნატე ნინოშვილი . . . . . — VI



ფრიდრიხ შილდერი ..... 1  
ნიკოლოზ გასილის ძე გოგოლი ..... 2 ცაგერის მიერავა

## გ ა ს ა რ თ ი ბ

წარმოდგენილი თ. კანდელაკის მიერ

შარადა . . . . .	I
არითმეტიკული ამოცანა . . . . .	
გამოცანა, რებუსი და ილსნა . . . . .	
მ. ლელაშვილისა	
შარადა . . . . .	II
თ. კანდელაკისა	

ასოების ამოცანა . . . . .	
რებუსი . . . . .	
ლილად ქცეული უზალთუნი . . . . .	III
რებუსი და ილსნა . . . . .	
საკვირველი ვაშლი . . . . .	
ამოცანა . . . . .	IV
ანდაზა, რებუსი და ილსნა . . . . .	
ციფრების ფოკუსი . . . . .	V
არითმეტიკული ამოცანა და რებუსი . . . . .	
გამოცანა და რებუსი . . . . .	VI

დ. კარბელაშვილისა

შარადა . . . . .	—VII
რებუსი . . . . .	

ვ. ჭიჭიათელისა

შარადა . . . . .	VIII
ციფრების ფოკუსი . . . . .	
რებუსი და ილსნა . . . . .	
ანდაზები, გამოცანა, რებუსი . . . . .	IX
რებუსი და ილსნა . . . . .	X
რებუსი და ილსნა . . . . .	XI
რებუსი და ისსნა . . . . .	XII

ტფილიშვილის გამოდის ერთი კარგებად საღირებული საქართველოს  
სახელმწიფო ცენტრალური განცხადი

# სზივი

ერთნალში დაიმეტებულია: მთამრობები (როგორც უზიგინალური, ისე ნა-  
თარები), ლექსიპი, კურტკული წევილები, ბიბლიოგრაფიული და სხვა.  
მონაშენებას მიიღებენ: აზიანი, აზიანი, გელა, იასამანი, იარეთ-  
ლი, ლაპიანი, ლეო, დემიტერები, მალაქაშეცილი, ნიკოლაშვილი, რა.  
რეზინიქ, ტ. ჩამიშვილი, რუხაბეგ, რუხაველი, ტუშაველი და სხვანი.  
პირველ ნომრიდან იძებლება ევ. გომარის კარტიკული წერილები  
ქართულ ლიტერატურაზ.

კურნალი ლის: ერთი წლით — 5 მ., ნახევარი წლით — 2 მ. 50 კ., ტარი  
რეზინი — 50 კ., ცალი ნომერი — 10 კაპ. გინც ამ თავიდან გამოიწეოს და  
იანგრის გასვლამდე მოვლი წლის ფულს შემოიტანს, პრემიად შეუცველ  
სტეპანიანის მოხ. „სახლი კოლეგის ნაპირზ“

წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგებდა ხელის მიმწერლების. ამასთანავე  
დაკემბრის ნომრებიც უფროდ გაეცხავენდა. ერთნაცის გამოწერა შეიძლება ტულიას შემოსისში: გან. „მომავალი“-ს რედაციაში: 3. კალანდარებთან;  
წიგნის ძალაშია „ალიონში“ ვ. გადილიასთან, კირონიშვილის ქუჩა № 9; სტა-  
მბა „ვერატრონ“ ფელი —ში, კელიამ ნიურის ქუჩა № 6. ვ. კალანდარებთან,  
და „გურემბერგის“ სტამბაში ღლებისა და სლეპცოვის ქუჩის შესახვევში  
№ 1, დოლის 10 ხაათიდან 2 ხაათამდე 5—7 ხაათამდე.

## ქ ა ლ ა ქ გ ა რ ე დ

ქუთასში: წიგნის მაღ. „იმერეთში“ ის. კეცარინებთან; სამტრედიაში  
რ. კ. გზის შე. ყ. კოპალეუმელისთან; ბათუმში — რ. კ. გზის შეაფში ვ. ვა-  
სანაძესთან; ჭიათურაში — მასწ. ვ. ხუროძესთან; ჩოხატაურში — წიგ. მაღ.  
ს. თავარატკილაძესთან; ოზურგეთში — წიგ. მაღ. მ. თალაკვეაძესთან; ხი-  
ლისთავში — მასწ. ვ. ლომთაონებესთან; სადგურ აჯიქ-ბულში — ვ. ყიფიან-  
თან და რენის გზის ყველა სადგურებზე, ხადაც წიგნის შეაფშია.

წერილები და ფული ტრაქებით ამ აღრესით უნდა გამოიგვინას:  
Тифлисъ типографія „Печатное Дело“, Рельяминовская № 6.  
Поліевкту Автоновицу Каландадзе.

მაკერე-კარეული საორაოი და სარიცხულო გამითი

## „ 3 0 6 0 “

გამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1909 წ. გამოდიოდა  
გაზოთის ვასი ტლიშვილი

ქალაქში დატარებით 3 მ.—გინც რედაქციიში მოიკით-  
ხეს გაზ. ტაეთმობა 2 მ. 50 კ. ქალაქ გარეთ 3 მ. 50 კ.  
ნიხევარი წლით 2 მ. 50 კ. სამი თებით 1 მ. 50 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთას, ბალახვანსкая უл., დომъ № 37  
Редакція „ПОНИ“

# მისამართის სალის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდე გერმანიული კურსის მიზანის სამართლო

საუმარტივილო სურბათებისა და ეურნალი

## ნ ა ც ა რ ც ლ ი

ფილიტადი მისამართი

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი გურნალი „ნაკადული“  
ლიკ მცირე წლოდანთვის 12 წიგნი გურნალი „ნაკადული“  
მოხრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის სექტემბერის მრემიად მას ეცემათ:

I. დღიური და კურსი ვასდევლავი, — ზდაპარი ევალდის  
აქცია სურათით. — II. მარჯნიბი, — ზდაპარი ევალდისა თახი სურათით.  
III. თორავები და, — ზდაპარი ევალდისა ერთი სურათით. — IV. მარ-  
თული მხატვრული უსომიბი კურსისათვის.

გურნალს ხელმძღვანელობს ს უწყეს საგანგებოდ ჭრჩევდი სარედაქ-  
ციონ კომისია.

ფასი გურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.  
სამზღვარ გარედ: წლიურად შეიცი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

შეიც წლოდანთვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12  
წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა შავდება წლიურად და ნახევარი წლით.  
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქტორი, გოლოვინის პროს., ზუბალო-  
ვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით სალამოთიც.

2) წერა-კითხის გამოერცელებელ საზოგადოების წიგნის მაღა-  
ზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მოწერთ:

ვისეც გურნალის ნომრები და კურსის, მიმართონ აგენტს ან რედაქტორს, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თაგ. პ. ი. უმანიშვილი.